# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 ივნისი, 2009 წელი.

№ 129 (6230)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ევროკავშირის კომისია:
## ომი სააკაშვილმა გააჩაღა

## მიხეილ სააკაშვილი:
## აგვისტოს ომის დაწყება რომც დამბრალდეს, მაინც არ გადავდგები!



8



## როდესაც რუსეთის „სიდიადის“ რეალური ფასი ყველამ იცის

3



## როგორ გაგრძელდება „გრეჩიხას“ პოლიტიკური ცხოვრება?

2



## ახლა კი შამბა ისკუპებს რაშით?!

4

## ფარმაცევტული კომპანიები წამლებთან ერთად ავადმყოფებსაც ასაღებენ?!

6

## რუსი მოდის, მაგრამ როდის?

3



**ინფორმაცია**

## ილია II: ეკლესია ყველაფერს გააკეთებს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის

**საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყველაფერს გააკეთებს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაციისა და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. ეს განცხადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რუსეთთან მოსაზღვრე ყაზბეგის რაიონში მშენებარე მონასტრის მონახულებისას გააკეთა.**

ყაზბეგის რაიონში სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა 2007 წლიდან მიმდინარეობს.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ მონასტრის მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნავი მოვლენაა. მისივე თქმით, სწორედ ეს სამონასტრო კომპლექსი უნდა გახდეს ქართველ და რუს ხალხს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების სიმბოლო.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გააგრძელებს აქტიურ ძალისხმევას საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობების აღდგენისათვის ურთიერთპატივისცემისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, — ბრძანა პატრიარქმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, როგორც საქართველოში ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში იგი არაერთგზის გამოსულა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის განმუხტვისა და ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების ინიციატივით.

## მამისონის უღელტეხილს ქართველები აკონტროლებენ

**მამისონის უღელტეხილზე საზღვრის სრულ პერიმეტრს ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებენ. ამის შესახებ განცხადება რაჭიდან დაბრუნების შემდეგ პარლამენტის წევრებმა რუსუდან კერვალიშვილმა, შოთა მალაშხიამ და ექსპერტმა მამუკა არეშიძემ გააკეთეს.**

მათი ინფორმაციით, ამ დროისათვის ხიდის აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.



რუსუდან კერვალიშვილი, შოთა მალაშხია და მამუკა არეშიძე მამისონის უღელტეხილზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ. ისინი რაჭის გამგებელს, ადგილობრივ მოსახლეობას და ქართველ მესაზღვრეებს შეხვდნენ და მათგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

## უგულავას თბილისის თავისუფლება და დამოუკიდებლობა სურს

**თბილისის მერიამ პარლამენტს თვითმმართველობისა და დედაქალაქის შესახებ კანონების შეცვლა შესთავაზა, — ამის შესახებ თბილისის მერმა გიგი უგულავამ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა. კონფერენციის სახელწოდებაა — „ქალაქების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“.**

გიგი უგულავამ აღნიშნა, რომ საჭიროა, თბილისს ჰქონდეს უფრო მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მერიამ შესთავაზა პარლამენტს, შეიცვალოს კანონები თვითმმართველობის, აგრეთვე, თბილისის შესახებ და, 2006 წლისგან განსხვავებით, თვითმმართველობის მომავალი არჩევნები პირდაპირი წესით ჩატარდეს, — აღნიშნა თბილისის მერმა და დასძინა, რომ 2006 წელს მისი არჩევა საკრებულოს შემადგენლობიდან მოხდა.

ამასთან, უგულავას ინფორმაციით, მერიის ინიციატივა ჯერ პარლამენტის განხილვის საგანია.

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი**

**ო(პოზიცია), პოზიცია!**

# როგორ გაგრძელდება „გრეჩიხას“ პოლიტიკური ცხოვრება?

## ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას საერთო ყულაბა არა აქვს



**მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით დეპუტატებმა ოპოზიციური პარტიების შესახებ იმსჯელეს, რათა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს ვისგან, საიდან და რამდენით დაფინანსდებიან ისინი. ეს საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ევროპიდან დაბრუნებულმა ლევან გაჩეჩილაძემ მომიტინგეებს რიხიანად მიმართა: გაიგოს ხელისუფლებამ, დიახ, ფულის საშოვნელად ვიყავი წასული! რასაც ემოციური ტაშის გრიალი მოჰყვა.**

ვანო მერაბიშვილის თვალსა და ყურს კი არაფერი გამოჰპარვია და „გრეჩიხას“ ევროპული ვოიაჟიც სკანდალურად დაასრულა. გაჩეჩილაძე-გამყრელიძე შუაგულ ევროპაში თურმე რუსეთის „სპეცსამსახურის თანამშრომელს“, საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს შეხვდრიან.

ოპოზიციონერებს ამაზე სიტყვაც არ დაუძრავთ, ვიდრე ფარული ვიდეოჩანაწერები ტელევიზიით არ ვიხილეთ, რამაც ხელისუფლება ძალიან გაალიზიანა: აი, თურმე ვისგან მიიღებს ფულს ოპოზიციაო. ხელისუფლება კი არა, ლამის თანამებრძოლ ოპოზიციონერებს შორისაც გააჩინა ზზარი. ზოგმა თქვა, ყველაფერი ვიცოდიო; ზოგმაც — აზრზე არ ვიყავიო. ბოლოს, მაინც ყველაფერი განიმუხტა და ოპოზიციურმა ერთობამ ისევ მიტინგზე ამჯობინა საუბარი. თუმცა კი არ ითქვა მთავარი: ვისგან მიიღებს „გრეჩიხა“ სანატრელ ფულს, რითაც საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო უნდა გაალვივოს და მილიონი ქართველი გარეთ გამოიყვანოს.

ლევან გაჩეჩილაძემ და დავით გამყრელიძემ კახა თარგამაძესთან საუბრის მხოლოდ ერთი დეტალი გაახმიანეს — ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ახლა რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელი მათ თურმე სააკაშვილის რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებებზე და განსახორციელებელ გეგმებზე ესაუბრა. ქართულმა საზოგადოებამ ეს აღიარება შესაძლოა დაიჯეროს კიდეც, მაგრამ ამ „საიდუმლო ინფორმაციის“ გაცემის შემდეგ, თუკი კვლავაც დატოვებენ რუსები თარგამაძეს „უშიშროების სამსახურში“ სათანამშრომლოდ, გამოდის, რომ ეს ყველაფერი „ბლეფი“ ყოფილა, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, მედვედევ-პუტინის უწყებამ საიდუმლო სტრუქტურაში მოღალატე „მამლუქები“ ათარეშოს.

თარგამაძის ბედი ახლა ნაკლებ გვაღელვებს (ის უჩვენოდაც არ დაიკარგებაძ მაგრამ საფიქრალია, როგორ გაგრძელდება გაჩეჩილაძის პოლიტიკური ცხოვრება.

ლევან გაჩეჩილაძემ რიხით ამცნო საზოგადოებას, ევროპიდან ფული დღედღეზეჩამომივაო,რაც რატომღაც ოპოზიციის ყულაბის შევსებად აღიქვეს, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ქუჩაში გამოსულ ოპოზიციურ სპექტრს საერთო ხაზინადარი არ ჰყავს.

მაშ, ვისთვის უნდა ეს თანხა გაჩეჩილაძეს? — ახალი საზოგადოებრივი მოძრაობისთვის, რომელსაც სწორედ ლევან გაჩეჩილაძე ჩაუდგება სათავეში. მის გვერდით კი ის ადამიანები აღმოჩნდებიან, რომლებიც საპროტესტო მიტინგშიე აქტიურად მონაწილეობენ, მაგრამ პოლიტიკური სტატუსი არ გააჩნიათ. გოგა ხაინდრავა, დათო მაღრაძე, ნანა კაკაბაძე... და, რა თქმა უნდა, „უცნობი“. მათ ექნებათ ოფისები თბილისში და რეგიონებში, სამოძრაო თანხა და საპროტესტო მუხტის ამაღლებას შეუწყობენ ხელს.

საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის მხარდამჭერად „ეროვნული ფორუმი“ მოიაზრებოდა, მაგრამ „სკანდალური“ კადრების შემდეგ როგორ სახეს მიიღებს მათი თანამშრომლობა, გაურკვეველია. სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, შედარებით დაზნეული და კრიტიკული „ფორუმელები“ იყვნენ. თქვეს, რომ მათთვის კახა თარგამაძის მსგავს პიროვნებებთან რაიმე სახის კონსულტაციები აბსოლუტურად მიუღებელია. არადა, სანიკიძე-გაჩეჩილაძის დუეტს მართლაც შეიძლებოდა პოლიტიკური აქტიურობა გაეღვივებინა, რადგან ორივეს თითქმის ერთნაირი რეიტინგი ჰქონდა. „ფორუმს“ ჯერჯეროზით რეპუტაცია არ შელახვია, მაგრამ „გრეჩიხას“ ერთი ნაბიჯით დაასწრო ხელისუფლებამ და ჯერ არშექმნილ მოძრაობას უკვე რუსული ფულით დაფინანსებულის იარლიყი მიაკერა.

რამდენად სანდოა ასეთი კომპრომატი, სხვა ამბავია. მით უფრო, რომ კახა თარგამაძეს, როგორც რუსეთის მოქალაქეს, ოპოზიციის ლეგალური დაფინანსება ეკრძალება. თანაც, თურმე ძალიან ხელმომჭირნე და ძუნწი ყოფილა. ის კი ფაქტია, რომ „გრეჩიხას“ ფული ახლა ჰაერივით სჭირდება, რომელმაც სულზე უნდა ჩამოუსწროს.

ეს თანხა მთელს ოპოზიციურ სპექტრზე არ გადანაწილდება, მაგრამ ამის მიუხედავად, ის ქართულ საქმეს მოხმარდება, — ასეთია „გრეჩიხას“ პიროზა. თუმცა იქამდე კიდევ რა სიურპრიზს მოუწყობს ვანო, არავინ იცის...

**ნია ფიფია**

**ჩემი შენ გითხარიო!**

# აფხაზები, ოსები და რუსები გაეროს მისიის გასვლაზე სწუხან?!

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ცხინვალისა და სოხუმის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები მიიღო. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი იუწყება.**

კარასინი ცხინვალის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრს მურატ ჯიოევს, პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელს ბორის ჩოჩიევს და სოხუმის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას შეხვდა.

ჯიოევთან და ჩოჩიევთან გრიგორი კარასინმა ცხინვალის კონფლიქტის ზონაში ეუთოს მისიის დახურვის საკითხი განიხილეს და უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოები რეგიონში „ახალ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობებს“ არ აღიარებენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მორიგი რაუნდის შესახებაც, რომელიც 1 ივლისისთვის არის დაგეგმილი. აღინიშნა, რომ ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მუშაობა რეგულარული და პრაქტიკული უნდა გახდეს.

კარასინმა და სერგეი შამბამ კი აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაეროს მისიის გასვლაზე იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ეს ფაქტორი „ქართულ-აფხაზურ საზღვარზე“ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს.

მათ სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლების შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

**ინტერპრესნიუსი**

**SIC!**

# ხელისუფალთა მიერ შემოთავაზებული დიალოგი

**როგორ დაჟინებით მოითხოვდნენ ხელისუფალნი დიალოგს ოპოზიციასთან. ესმით კი ჩვენ ხელისუფალთ, თუ რა არის დიალოგი? შეუძლიათ კი მათ ნორმალური საუბარი ტყუილის, ქილიკის, შეურაცხყოფის გარეშე? ტყუილი, უტიფრობა ხომ მათ ქცევის საფუძველი, მათი აზროვნების ფორმა და შინაარსია.**

ხელისუფალნი როდი დასჯერდნენ ასეთი შინაარსით გამდიდრებულ დიალოგს. მათ არგაგონილი დიალოგი შემოგვთავაზეს: კასეტური ტყვიებით, რკინის ხელკეტებით მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა, განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის ადამიანთა გატაცება გაურკვეველი მიმართულებით, ბოლოს ფარულად, ადვოკატის გარეშე, ღამის საათებში მათი გასამართლება. მათთვის არასასურველი ჟურნალისტებისთვის ვიდეო-მასალისა და კამერების წართმევა, მათი ცემა, გასისხლიანებამდე ცემა ახალგაზრდებისა, რომლებიც ყოველგვარი ძალის გამოუყენებლად, ხელში განცხადებით ითხოვდნენ თავიანთი უდანაშაულო მეგობრების განთავისუფლებას, ახალგაზრდები დააპატიმრეს და არავითარი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს. ეს გახლავთ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული დიალოგი. ვფიქრობ, დიალოგის ასეთი, სრულიად ახალი ფორმა „საპატიო“ ადგილს ჰპოვებს გინესის წიგნში.

ყოჩაღ, ხელისუფალნო!

**ლონდა მდივანი**

**P. S. ჰო, მართლა, დიალოგის აუცილებლობას უნისონში ითხოვენ საქართველოში აკრედიტებული ელჩები, აცხადებენ, დიალოგს ალტერნატივა არა აქვსო და ყველაფერში ოპოზიციას ადანაშაულებენ. საინტერესოა, ვერ ხედავენ ხელისუფლების მხრიდან უხეში ძალადობის უამრავ ფაქტს? დაბრმავდნენ? თუ ხელს არ აძლევთ სიმართლის აღიარება? რატომ? მათი მოქმედებანი და განცხადებები ბევრ იჭვს ბადებს...**

**ლ. მ.**

უსუსური პარალელები

***თუმცა რაღა მოდისო და როდის მოდისო! მოსულიც არ არის და შემოსულიც? ჰოდა, ამათაც მეტი რა უნდათ? დარია თუ ავდარია, წვიმაა თუ სეტყვა, ყველაფერში დამნაშავე რუსია. განსაკუთრებით შარშანდელი აგვისტოს კატასტროფის შემდეგ გაძლიერდა მსგავსი პროპაგანდისტული რიტორიკა, რომელმაც პიკს 24 ივნისს მიაღწია. თუმცა მიაღწია კი? ვითომ მეტს აღარ უნდა ველოდეთ? ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, მეტს აღარ მიჰქარავდა, რაკი არაფერმა, საცოდავი თენგიზ კიტოვანიდან დაწყებულმა და აგერ „გუშინ“ კახა თარგამაძით დამთავრებულმა, არ იმუშავა ნაცების სასარგებლოდ, რადგანაც...***

# რუსი მოდისო, მაგრამ როდისო?

## როდის და რატომ არ მინდა სიცოცხლე და რად მივესალმები თვით „ბრუზგინებსაც“ და „რესტორნის მენტალიტეტიანებსაც“ კი?

### მოდით, თავიდან დავიწყოთ...

**9 აპრილამდე კარგა ხნით ადრე შეფუცხუნდნენ „ნაცები“ და კიტოვანი ამოქექეს, რომელიც რას ბლუკუნებდა, რა თქმა უნდა, „რუსთავი-2“-ის ეთერში, თვითონ არ იცოდა.** მერე იყო და ვენაში, ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერის ლევან პირველთან და საქართველოდან გადახვეწილ სხვა ბიზნესმენებთან შეხვედრის გაპიარება სცადეს — არიქა, ფულს აგროვებენ ჩვენი ხელისუფლების (საქართველოს! — **ავტ.**) ამოსაგდებადო. მერე იყო და, დღემდე სრულიად უცნობი პერსონაჟი, ვინმე ებრალიძე „შემოაგდეს“, შემდეგ ლევან მამალაძე-ასლან აბაშიძე-კახა თარგამაძის სამკუთხედის შეკვრა სცადეს, საიდანაც ბოლოს ეს უკანასკნელი ცალკე გამოჰყვეს და ბერლინში მასთან ლევან გაჩეჩილაძისა და დათო გამყრელიძის შეხვედრის ამსახველი ვიდეოკადრები ვიხილეთ.

ავიშვიშდნენ, აჭყლოპინდნენ, აყაყანდნენ ცნობილი ნაცოდიოზები, მაგრამ არც ამან იმუშავა, რადგან ისე აქვს ხელისუფლებას სახელი გატეხილი, იმდენ ტყუილშია გამოჭერილი, რომ, სამწუხაროდ, „ნაცებისა“ არავის არაფერი სჯერა, ისეთი ოდიოზების კომენტარები კი, როგორებიც არიან: ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, გოკა გაბაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, პადოშა და მსგავსნი მათნი, მხოლოდ ამძაფრებენ უნდობლობას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველას ყველაფერი ახსოვს და, აქედან გამომდინარე, თვით კახა თარგამაძეც კი...

### ამათთან შედარებით უცოდველ კრავად მოჩანს

**იმიტომ, რომ ის პარალელები, რომელთაც დაჟინებით ავლებენ „იმ“ დროსა და დღევანდელობას შორის, ვერ მუშაობს „ნაცების“ სასარგებლოდ. უფრო პირიქითაა და ეს, ვიმეორებ, სამწუხარო რეალობაა. პრეზიდენტი კი აცხადებს, კახა თარგამაძის დროს ყოველ კვირაში ერთხელ პოლიციის სამმართველოს მეექვსე სართულიდან პანტა-პუნტით ცვიოდნენ პატიმრებიო, მაგრამ საზოგადოებას ახსოვს, რომ ეს „პანტა-პუნტი“ სულ ორი-სამი შემთხვევა იყო. ამის საპირწონე კი ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდები და 30 ათასამდე პატიმარია, რომელთა რაოდენობა „რკინის კახას“ დროს, 6-7 ათასს არ აღემატებოდა.**

როდესაც თვალებგადმოკარკლული გოკა გაბაშვილი რიტორიკულად კითხულობს — კახა თარგამაძე დააფინანსებს სიტყვის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს, თავისუფალ სასამართლოების არსებობასო? — უნებურად გაგახსენდება, როგორ „ააშენა“ ლიპზე დაწყობილი ბეჭდიანი ხელებით 2007 წლის 7 ნოემბრამდე ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი გოკას მამამ კოტე გაბაშვილმა, რომელიც ახლა, ამ „დამსახურებისთვის“ „დამსახურებულად“ დესპანობს სადღაც ევროპაში, და რის აშენებაც ვერ მოასწრო, იმის აშენებას გოკა აპირებს! ამაზე წესით უნდა გადაიხარხარო, მაგრამ სატირალი რომ არის?!

ანდა კიდევ ერთი მარგალიტი — საინტერესოა რის სანაცვლოდ აპირებს კახა თარგამაძე ოპოზიციის დაფინანსებასო? რისი გარანტია მისცა მას ლევან გაჩეჩილაძემ, ახალ საქართველოში ისევ შს მინისტრი იქნებიო? აქ ბუნებრივად გახსენდება, რომ კახა თარგამაძე თავის დროზე გადადგა და, კიდევ იბადება კონტრკითხვები — რის სანაცვლოდ დააფინანსა მსოფლიო მასონმა, ჯორჯ სოროსმა ე. წ. ვარდების რევოლუცია? რისი გარანტიები მიიღო? საქართველოს დაქცევის? ანუ, ყოველგვარი ეროვნულის, ქართული ტრადიციების უარყოფის, სატანისტური სექტების გაჯეჯილების, ეკლესიების ნგრევის? და, საერთოდ, აქედან გამომდინარე, „ნაცებს“ აქვთ მორალური უფლება სხვის დაფინანსებაზე ილაპარაკონ?

**ან ვინმეს დაავიწყდა, როგორ გადაუხადა პარლამენტის ტრიბუნიდან საჯაროდ მადლობა 1999 წლის არჩევნების გაყალბებისთვის მაშინ მოქკავშირის ლიდერმა და დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კახა თარგამაძეს — შენ გადაარჩინე საქართველოო!?**

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სულაც არ თქმულა კახა თარგამაძის უცოდველობის დასამტკიცებლად, რასაც ეს კაცი ცდილობდა „№5 საკნის“ სატელეფონო ჩართვით. ცოდვების მეტი რა აქვს, მაგრამ ყველაფერი შედარებითია და ეს შედარება, სამწუხაროდ, არ მუშაობს ხელისუფლების სასარგებლოდ. თუმცა რომ არა ეს შედარებითობაც, კახა თარგამაძეს ერთი უდავო პლუსი მაინც აქვს, ისევე როგორც ლევან პირველს თუ ლევან მამალაძეს.

იხ. 6 გვ.

პროგნოზი

# როდესაც რუსეთის „სიდიადის“ რეალური ფასი ყველამ იცის




***მოსკოვში 6-8 ივლისისთვის დაგეგმილი ობამა-მედვედევის შეხვედრის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ცნობილ რუს ჟურნალისტსა და პუბლიცისტს მატვეი განაპოლსკის ესაუბრა.***

**— ბატონო მატვეი, თქვენი პროგნოზით, რა შედეგით დასრულდება ობამა-მედვედევის შეხვედრა? რუსეთი აშშ-სგან პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოსკოვის გავლენის აღდგენას მოითხოვს. მიიღებს ვაშინგტონი მოსკოვის მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებს?**

— ვფიქრობ, რომ ობამა-მედვედევის საჯარო ნაწილი ტრადიციულისგან განსხვავებული არ იქნება. ობამა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აშშ რუსეთთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ობამა აუცილებლად წარმოთქვამს რიტუალურ სიტყვებს, რომ რუსეთი უდიდესი ქვეყანაა, თუმცა არავინ იცის, რაში მდგომარეობს მისი სიდიადე. საჯაროდ ობამა არ დაიშურებს სიტყვებს, დაახლოებით, ისეთებს, როგორიც მან ისრაელსა და არაბეთის ქვეყნების მისამართით ამ ქვეყნებში ვიზიტებისას წარმოთქვა.

ობამა-მედვედევის მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციიდან არავინ არ დაიწყებს ამერიკისგან რამეს თხოვნას. ამ ტიპის შეხვედრები პროტოკოლურ ხასიათს ატარებს და მათ მოსამზადებლად საკმაოდ დიდი სამუშაო ჯგუფი მუშაობს.

რას შეიძლება ველოდოთ? უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრის სუბიექტი არის არა აშშ, არამედ — რუსეთი, რადგან აშშ-ს ევროპაში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის 10 რაკეტის განლაგება უნდა, ხოლო რუსეთს — ძალიან ბევრი რამ. რუსეთის სურვილია, აშშ-მ უარი თქვას საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებაზე; აშშ-მ ევროპაში არ განალაგოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის რაკეტები. ერთხელ მედვედევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთი მზად არის, ამერიკის მიერ ევროპაში რაკეტების განუთავსებლობის შემთხვევაში წავიდეს ბირთვული იარაღის მნიშვნელოვან შემცირებაზე.

აშშ და რუსეთი ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწევენ და აი, რატომ. საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიუღებლობა აუცილებლად დაუკავშირდება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიას. ამ თემაზე საუბარი იმ მიზეზით არ გაგრძელდება, რომ აშშ-ს უარი არ უთქვამს საქართველოს მხარდაჭერაზე. ვაშინგტონი, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოს ახალ საზღვრებს არ ცნობს და ძველ საზღვრებში განიხილავს. თავის მხრივ, ამ საკითხებში რუსეთი უკან დახევას არ აპირებს. რამდენადაც ვიცი, ახლა რამე თემაზე გასაცვლელი ვარიანტები არ არსებობს.

დავუშვათ, რუსეთმა თქვას, რომ გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს წართმეული ტერიტორიების საქართველოსთვის დასაბრუნებლად, მაგრამ ამ წინადადებას აშშ არ მიიღებს. ალიანსმა კი მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების შესახებ, მაგრამ მათთვის ნატოსკენ მიმავალი საგზაო რუკა არ მიუცია. პრინციპში, ჩანდა, თითქოს რუსეთს ყველა პრეფერენცია აქვს, მაგრამ ეს მისთვისვე აღმოჩნდა დარტყმა, ვინაიდან აშშ-სთან სათამაშოდ არაფერი დარჩა.

საქართველო ახლა რომც შედიოდეს ნატოში, ტერიტორიების თემაზე თამაშის აგება შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ საქართველო ხვალ ნატოში არ შედის და ეს პუტინისა და სააკაშვილის კი არა, ნატოსა და ევროკავშირის გადაწყვეტილებაა. ამიტომ, რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, რუსეთმა თითქოს მოიგო, მაგრამ იმავდროულად წააგო, რადგან თამაშში კოზირები აღარა აქვს.

აშკარაა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები არ გადაწყდება. ეს შეხვედრა გაიმართება იმ არასასურველი გადაწყვეტილებების ფონზე, რომელთა მიხედვითაც, რუსეთის გამო კონფლიქტის ზონებს დატოვებენ ეუთოსა და გაეროს დამკვირვებლები, რაც სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს.

შემდეგი საკითხი, რომელიც, შესაძლოა, არსებობდეს აშშ-სა და რუსეთს შორის, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის რეკეტებია. ჩემი აზრით, ამ საკითხშიც არც ერთი ნაბიჯი უკან არ გადაიდგმება. აშშ რაკეტებს ევროპაში განალაგებს; საუბარია სულ რაღაც 10 რაკეტის განლაგებაზე და ამ საკითხში რაიმე ვაჭრობაზე საუბარი ზედმეტია. გადაწყვეტილება მიღებულია, აშშ ის ქვეყანაა, სადაც საკვანძო საკითხებზე გადაწყვეტილებები არ იცვლება იმის მიხედვით, იგი თეთრი სახლის „დემოკრატიულმა“ ადმინისტრაციამ მიიღო თუ „რესპუბლიკურმა“.

დარჩა კიდევ პატარ-პატარა საკითხები. პატარ-პატარა იმის გამო, რომ როგორც ცნობილია, აშშ და რუსეთი ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობას არ აპირებენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ რუსეთი ცდილობს, რუსული რუბლი სარეზერვო ვალუტად აქციოს. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ცხადია, ეს ზღაპრის სფეროდანაა. ობამა-მედვედევის შეხვედრისგან სხვა რაღა დარჩა, გარდა ორივე მხრიდან ხმამაღალი განცხადებებისა იმის შესახებ, რომ ამერიკა და რუსეთი დიდი ქვეყნები არიან. ამჯერად მათ შორის პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღების იმედიც კი არ არსებობს.

**— თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლებენ მხარეები კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას?**

— როდესაც ობამა ხელისუფლებაში მოვიდა, რუსეთთან ურთიერთობაში ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკაზე დაიწყო საუბარი. პოლიტოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა „გადატვირთვა“ ნიშნავს გარკვეული მიდგომებისა და სტერეოტიპების შეცვლას, რომლებზეც ქვეყანა დგას. სამწუხაროდ, ობამას მიერ ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ, პუტინმა საზღვარგარეთ ვიზიტისას განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკა “გადატვირთვას“ არ საჭიროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი თავის დასავლელ პარტნიორებთან ერთადერთ სწორ პოლიტიკად იმას მიიჩნევს, რომელ პოლიტიკასაც აქამდე ატარებდა. ანუ რუსეთი ამ ურთიერთობებში რაიმეს შეცვლას არ აპირებს.

მნიშვნელობა არა აქვს, პრეზიდენტების შეხვედრაში მიიღებს თუ არა მონაწილეობას პუტინი. ფაქტია, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრაზე ერთმანეთს შეხვდება ადამიანების ორი ჯგუფი, რომელთა ერთი ხელმძღვანელი “გადატვირთვის“ პოლიტიკის დაწყებას გეგმავს, ხოლო მეორე ამბობს, რომ ე. წ. გადატვირთვის არანაირი საჭიროება არ არის.

ობამას დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით არ მინახავს რუსული მხარის არც ერთი განცხადება და კომენტარი, რომელშიც მოსკოვის წინადადებები იქნებოდა ჩამოყალიბებული. მხოლოდ მოთხოვნები გვესმის **1. ხელი არ ახლონ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.**

**2. არ მიიღონ ნატოში საქართველო და უკრაინა და**

**3. აშშ-მ ევროპაში არ განალაგოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის რაკეტები.**

იხ. 4 გვ.

ვითარება

# ახლა კი შამბა ისკუპებს რაშით?!

## რუსეთი აფხაზეთის ხელით ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების „დასამარებას“ აპირებს



**ამ ეტაპზე ცნობილი არაა, რა მიზეზს დაასახელებს სოხუმი ჟენევის ფორმატის ჩასაშლელად, თუმცა ფაქტია, რომ ამ მიმართულებით აფხაზური დიპლომატია კრემლთან ინტენსიურ დიალოგს მართავს. ამჟამად სოხუმში არ იმყოფება დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომელიც სოხუმში დაბრუნებას 29 ივნისისთვის გეგმავს.**

აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა „ჯი-ეიჩ-ენთან“ აღნიშნულ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებს და შესაბამისი უწყებისკენ გვითითებს, თუმცა უწყებაში შამბას არყოფნა ნამდვილად იგრძნობა და სატელეფონო ზარებს არავინ პასუხობს.

იმის მიუხედავად, თუ მოცემულ მომენტში ვისთვის უფრო მომგებიანია ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლა — მოსკოვისა თუ სეპარატისტული რეგიონებისთვის, ფაქტია, რომ ტრიადა საერთაშორისო თანამეგობრობას მორიგ „სიურპრიზს“ უმზადებს.

ეუთოსა და გაეროს ცნობილი ამბების შემდეგ რუსეთი ევროკავშირის საბოლოოდ გადაკიდების თავიდან ასაცილებლად ქართული მხარის მიერ ინიცირებული საკითხების „დასამარებას“ აფხაზეთის ხელით ცდილობს. საუბარია ევროკავშირის მისიის გაძლიერებასა და მისთვის შესაბამისი უფლებების მინიჭებაზე.

მართალია, ჟენევის ფორმატს უშუალოდ ევროკავშირი არ კურირებს, თუმცა ფაქტია, რომ ჟენევის კონსულტაციების გამართვის იდეა ევროკავშირის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს, საფრანგეთს ეკუთვნის და მასში გაეროც და სხვა ნებისმიერი მხარის თუ მედიატორის მონაწილეობა სწორედ მისი ინიცირებულია. თუმცა აფხაზებს, რუსეთის დარიგების საფუძველზე, გაეროსა და, კერძოდ, უშიშროების საბჭოს წევრების წინააღმდეგ, გარდა რუსეთისა, თავიანთი არგუმენტებიც აქვთ. სოხუმში გაეროსა და უშიშროების საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც შეეწინააღმდეგნენ აფხაზეთსა და საქართველოში დამოუკიდებელი მისიების ყოფნას, ფაქტობრივად კი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, მედიატორად არ განიხილავენ. შესაბამისად, მათი თანდასწრებით არც ვალდებულებების აღებას აპირებენ და არც უკვე ნაკისრის შესრულებას.

მოსკოვი ელის, რომ შესაძლოა, ქართულმა მხარემ სწორედ ჟენევაში, გააჟღეროს ოფიციალურად თავისი პოზიცია ევროკავშირთან დაკავშირებით, რომლის შეწინააღმდეგება მოსკოვისთვის საერთაშორისო დიპლომატიის თვალსაზრისით საკმაოდ უტაქტო საქციელი იქნება. მით უფრო, რომ ეს რუსეთით ისედაც უკმაყოფილო საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა ევროპელი პარტნიორების მხრიდან დამატებით უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამიტომაც მოსკოვი ჟენევას დე ფაქტო ხელისუფლებების პოზიციებით „კლავს“. აქვე არც ცხინვალის პოზიციაა დასავიწყებელი, რომელიც ჟენევის ფორმატით მიღწეულ ე. წ. ერგნეთის შეხვედრებს უკვე მერამდენედ შლის. ამით ცხინვალი (რა თქმა უნდა, მოსკოვის კარნახით) ამ „ორგანოს“ არაქმედუნარიანობასა და არაავტორიტეტულობას უსვამს ხაზს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან რუსეთის მიერ ჯერ ეუთოს, შემდეგ კი გაეროს მისიის გაძევებით შეშფოთებული დასავლეთი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების უდიდეს მნიშვნელობაზე ალაპარაკდა. დასავლელმა პოლიტიკოსებმა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაახშირეს საუბრები ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების უკიდურეს აუცილებლობაზე. კონსულტაციები, მათი თქმით, დღეის მდგომარეობით, მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და შეხვედრების ერთადერთი პლაცდარმია.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარეებმა: პიერ მორელიმ (ევროკავშირი), იოჰან ვერბეკემ (გაერო) და ხარლამოს ხრისტოპულოსმა (ეუთო) ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც კი გამოაქვეყნეს.

„ჟენევის მოლაპარაკებები ერთადერთი ფორმატია, რომელის მეშვეობითაც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს აქვს საშუალება, მნიშვნელოვანი საკითხები განიხილოს“, — ნათქვამია განცხადებაში.

საინტერესოა ასევე რამდენიმე დღის წინათ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის სერგეი ბაღაფშის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც „გაეროს გარდა, ვერც ერთი სხვა საერთაშორისო მისია აფხაზეთის ტერიტორიაზე ფეხს ვერ შემოადგამს“. გაეროს იმ ფორმატით დაკანონება კი, როგორც ეს აფხაზეთს სურს ფაქტობრივად ამ ორგანიზაციის და, ზოგადად, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ამ სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი იქნება.

ამ განცხადების ფონზე მოსკოვში, შამბასთვის წარდგენილ „გეგმაში“ კარგად „იწერება“ ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე „საქართველოს მფარველებმა კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო პოლიციური კონტინგენტის შეყვანის საკითხი დააყენეს, რუსეთმა ჯერ ეუთოსთან, შემდეგ კი გაეროს საკითხთან მიმართებაში საერთაშორისო დონეზე“ „თავის გამოჩენის“ შემდეგ, შესაძლოა, „ჯეროვანი რეაგირება“ ვეღარ მოახდინოს. ამიტომაც, შამბასთვის წარდგენილი რუსული გეგმის მიხედვით, „ახლა უკვე ამ საკითხის გადაწყვეტა“ ანდა ჩაშლა „თავის თავზე აფხაზურმა მხარემ უნდა აიღოს“.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა მეექვსე რაუნდი პირველ ივლისსაა დაგეგმილი.

**გოჩა მირცხულავა**

პროგნოზი

# როდესაც რუსეთის „სიდიადის“ რეალური ფასი ყველამ იცის

(მესამე გვერდიდან)

ჩემთვის გაუგებარია, თავისი მიზნების მისაღწევად რა კარტები აქვს რუსეთს და როგორ უნდა ამ მიზნების მიღწევა. ასევე, ჩემთვის გაუგებარია, როგორ და რატომ არ უნდა მიაქციოს ყურადღება აშშ-მ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხს მაშინ, როდესაც რუსული აგრესიის გამო საქართველომ ტერიტორიის თითქმის მესამედი დაკარგა.

ჩემი აზრით, ობამა-მედვედევის შეხვედრის შედეგი ნულის ტოლი იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ტალღის ლიდერები ობამა და მედვედევი ორი ქვეყნის ურთიერთობების პერსპექტივაზე იმგვარ ოპტიმიზმს გამოთქვამენ, რომელსაც აბსოლუტურად არანაირი საფუძველი არ ექნება.

**— საქართველოზე განხორციელებული აგრესიის მიუხედავად, რუსეთს არაფერი არ დაუკარგავს. მოგეხსენებათ, აღდგა ევროკავშირ-რუსეთისა და ნატო-რუსეთის ურთიერთობები, რუსეთმა მიაღწია საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების გადავადებას; გარდა ამისა, რუსეთმა შეძლო საქართველოდან ეუთოსა და გაეროს დამკვირვებლების გაძევება. ბატონო მატვეი, თქვენი აზრით, აშშ-ს და დასავლეთს რუსეთის ეშინია, თუ რა ხდება?**

— ბევრჯერ მითქვამს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო 2009 წელს რუსეთს ომს არავინ გამოუცხადებს. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში არის ორი ფორმა — კეთილმეზობლური და ბოიკოტის გამოცხადება. ბოიკოტი გამოუცხადეს კუბას 1959 წელს, ბოიკოტი გამოუცხადეს, ასევე, ჩრდილოეთ კორეას, მაგრამ რუსეთი არ არის არც კუბა და არც ჩრდილოეთ კორეა. ამიტომ, არასწორი იქნებოდა, რომ რომელიმე ქვეყანას ან ალიანსს რუსეთისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა.

რუსეთი ყოველთვის აგებდა. რუსეთს მოგებული აქვს მხოლოდ ორი ომი — 1812 წელს ფრანგებთან და 1945 წელს ფაშიზმის წინააღმდეგ. მან ეს ომები იმის გამო მოიგო, რომ რუსეთისთვის სამართლიანი ომები იყო, ყველა დანარჩენ შემთხვევაში რუსეთის მიერ წარმოებული ომები არასამართლიანი იყო. რუსეთმა პატარა ფინეთისგანაც მძიმე დარტყმა განიცადა. არავინ არ აპირებს რუსეთთან ომს და მის მუხლებზე დაყენებას. რუსეთი თავად ლპება; ლპება არასწორი მართვის, კორუფციისა და დროში განვრცობილი ავტორიტარიზმისგან, რომელიც, სამწუხაროდ, რუსეთისთვის მმართველობის ერთადერთ სწორ ფორმად მიიჩნევა და უახლოეს მომავალში მმართველობის ამ ფორმის შეცვლის ალბათობა მცირეა.

რუსეთი თავად იმყოფება ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის. რუსეთი თავს ზესახელმწიფოდ მიიჩნევს, მაგრამ მესამე ადგილზე იმყოფება ქვეყნიდან წასული ემიგრანტების რაოდენობით. რუსეთიდან ხალხი, პრაქტიკულად, გარბის, რაც ქვეყნისთვის ძალიან ცუდია.

რუსეთმა ვერ მიიღო მთავარი, რისი მიღებაც სურდა — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არავინ აღიარა. ეს საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთისთვის სილის გაწვნის ტოლფასი რამაა. ეს ცუდი თამაშის პირობებში კარგი ნაღმია. „ბატკა ლუკაშენკოს“ პირში ყველა ულიმის, მაგრამ მანაც არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მან თუ ეს რეგიონები აღიარა, გამოვა ტელევიზიით და იმასაც იტყვის, რამდენ მილიარდ დოლარად იყიდეს ამ საკითხში მისი თანხმობა.

მხოლოდ ჩანს, რომ რუსეთი ყველგან დააბრუნეს. უკრაინასთან გაზის ომის შემდეგ ყველამ გაიგო, რომ ის არასაიმედო ეკონომიკური პარტნიორია, საქართველოს ტერიტორიების ანექსიის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ, ასევე, არასაიმედო პოლიტიკური პარტნიორია, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი.



მართალია, რუსეთი ყველგან დააბრუნეს, მაგრამ ეს იმას ჰგავს, როცა ტუბერკულოზით დაავადებულთა საავადმყოფოში დადიხარ და სახეზე ნიღაბი გაქვს აფარებული, რომ არ დაავადდე.

ვიდრე დასავლეთის ქვეყნები ენერგოშემცველებით დამოკიდებული არიან რუსეთზე, ისინი ისეთ სახეს მიიღებენ, თითქოს მათ საქმე რუსეთთან აქვთ და რუსეთის მისამართით ლამაზ სიტყვებს შამპანურის ფუჟერებით ხელში, ჰიმნის მუსიკის ფონზე იტყვიან. მაგრამ ასეთ ურთიერთობებში გულწრფელი არაფერი იქნება და ეს მაშინ, როცა მსოფლიო სწრაფად იცვლება, რუსეთი კი მსოფლიო ეკონომიკის ორიერგარდში ჩართული არ იქნება.

რუსეთი ვერ ახერხებს ავტომობილების გამოშვებას, ამერიკაში კი 4-თვიანი მკაცრი ეკონომიკური კრიზისის დროს დაიწყეს ახალი ავტომობილების გამოშვება, რომლებიც ქალაქში ნაკლებ საწვავს მოიხმარენ, ვიდრე — ქალაქგარეთ. რუსეთს ასეთი ცვლილებების განხორციელება არ შეუძლია და იცით რატომ? ამგვარი ავტომობილების შენების ნაცვლად, ის ყველგან მტერს ეძებს.

ამიტომ, რუსეთთან დანარჩენ მსოფლიოს საქმე კი ექნება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად გაიგონ, რა სახიფათო ქვეყანაა რუსეთი. მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში რუსეთთან არავითარ მეგობრობასა და ერთად მოძრაობაზე საუბარი არ იქნება.

რუსეთი დიდი ქვეყანაა, რომელიც მარტოობაში ცხოვრობს, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს მართლაც უდიდესი ქვეყანაა. მის გვერდით მცხოვრები ქვეყნებიც ისე იქცევიან, თითქოს რუსეთი მართლაც უდიდესი ქვეყანაა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მისი „სიდიადის“ რეალური ფასი ყველამ იცის.

**კობა ბენდელიანი**

დისკუსია

*როცა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მსოფლიო შეძრა და გამოსავლის გზებს ეძებენ, რუსეთმა ხელსაყრელი პირობები და დრო იპოვნა ახალ მსოფლიო წესრიგზე სალაპარაკოდ. ამაზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს საერთაშორისო სააგენტო „რია ნოვოსტის“ მოსკოვის ოფისში, სადაც ვიდეოხიდი შედგა მოსკოვს, თბილისს, კიევსა და კიშინოვს შორის. რუსეთის მხრიდან მოწვეული იყო ორი ექსპერტი: ნიკოლოზ ზლობინი (მსოფლიო უსაფრთხოების რუსეთ-აზიური პროგრამების დირექტორი) და რუსლან გრინბერგი (ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი). თბილისიდან „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, კიევი ტექნიკური მიზეზების გამო გამოეთიშა დისკუსიას, ხოლო კიშინოვის ოფისში მხოლოდ ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი. ამიტომაც დებატები რუს ექსპერტებსა და ზურაბ ნოღაიდელს შორის გაიმართა თემაზე: „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ახალი მსოფლიო წესრიგი“.*

# რუსი ექსპერტები უკვე მსოფლიოს „პერესტროიკაზე“ ალაპარაკდნენ

## რას შეჰპირდა ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვს?

**ნიკოლოზ ზლობინი:** პრობლემა ისაა, რომ ახალ რეალობაში ვცხოვრობთ, იმპროვიზირებულ მსოფლიოში, რასაც ჯერაც ვერ აცნობიერებს ზოგიერთი ქვეყანა. ადრე მხოლოდ დიდი ქვეყნები თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს, მაგრამ დღეს ისინი ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ. ახლა პატარა ქვეყნები ცვლიან მსოფლიოს. ისეთები, როგორებიც არიან კოსოვო, ოსეთი, აფხაზეთი. დიდი ქვეყნები პატარა ქვეყნების მძევლები არიან, ტრადიციულ სამყაროს ახალი რეალობა ცვლის, ხოლო ექსპრომტების პოლიტიკაში არ ჩანს მთავარი, რისთვის კეთდება ყოველივე, იმიტომ, რომ არ არსებობს ერთი წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელიც რამე ეფექტს მოახდენდა.



ზლობინის ასეთ ზოგად შეფასებას **რუსლან გრინბერგის** კომენტარი მოჰყვა: ვინაიდან ეკონომიკა არის გლობალური, სახელმწიფოები მკაცრად ვართ დამოკიდებული ერთმანეთზე. ეკონომიკას საერთო რეგულაცია სჭირდება. 80-იან, 90-იან წლებში გვეგონა, რომ კარგი მომავალი გვექნებოდა. ირგვლივ დემოკრატია და სტაბილურობა სუფევდა, მაგრამ მივიღეთ სხვა რეალობა. „ცივი ომის“ დროს იყო ორი ბანაკი – აშშ და სსრკ, მაგრამ ორივე იყო განსაზღვრული. ამავე დროს იყო მესამე სამყარო – დასავლეთ ევროპა, რომელზეც ვოცნებობდით.



თანდათან ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ ახლა ჩინეთის ფაქტორიც გვაფიქრებს. ხუთიოდე წელიწადში შეიძლება ამერიკამ პეკინს ჰკითხოს რჩევა – რა ვქნათო.

რუსმა ექსპერტებმა ამის შემდეგ უფრო პრაგმატული ხედვები გამოავლინეს და ორივემ რიგ-რიგობით დაიწყო იმის მტკიცება, რომ ის ალიანსები და გაერთიანებები, რასაც მსოფლიო ეტრფის: ეუთო, გაერო, ევროკავშირი თუ ევროსაბჭო დრომოჭმულები არიან. მეორე მსოფლიო ომის პირობებზე გავთლილი ორგანიზაციები თანამედროვეობას ვერ პასუხობენ, რადგან 60 წლის წინათ სხვა პრობლემები ჰქონდა მსოფლიოს, ვიდრე დღეს აქვს. ამიტომაც ზლობინმა და გრინბერგმაც სრულიად ახალი სიტუაციური ალიანსების, ან თუნდაც რეგიონალური ეკონომიკური კავშირების აუცილებლობაზე ილაპარაკეს. **რუსეთს აქვს შანსი, შექმნას სრულიად ახალი ბლოკი საერთაშორისო არენაზე, ხოლო რუსებს, უკრაინელებს, ქართველებს და სხვებს ურთიერთგაგების საფუძველზე შეუძლიათ ამის განხორციელება.** სანამ ზურაბ ნოღაიდელის პასუხს გაგაცნობთ, აქვე გეტყვით, რომ რუსმა ექსპერტებმა უშუალოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზეც გაამახვილეს ყურადღება. როგორც ოფიციალური რუსეთი, ისე ექსპერტებიც სააკაშვილის პირობებში ვითარების გამოსწორების პერსპექტივებს ვერ ხედავენ. ხოლო სხვა ხელისუფლების დროს საქართველოს მიდგომა რუსეთისადმი ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს, – ასეთია მათი პოზიცია.

ნოღაიდელის პასუხმაც არ დააყოვნა და შეჰპირდა, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეიცვლება რუსეთისადმი დამოკიდებულება და ბევრად პოზიტიური გახდება, თუმცა იქვე დასძინა, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ურთიერთობის აღდგენა რთული იქნება.

**ზურაბ ნოღაიდელმა** „საქართველოს რესპუბლიკას“ ინტერვიუ მისცა და რეზიუმეს სახით ზოგადად მიმოიხილა დისკუსიის თემა: – დღეს ვისაუბრეთ პოლიტიკისა და ეკონომიკის კავშირზე, მაგრამ მინდა ვთქვა ერთი რამ: ქვეყანა, დიდი იქნება ის თუ პატარა, წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის გადაწყვეტილებებს შორის მიიღწევა კოორდინაცია. არ შეიძლება პოლიტიკური სისტემა არ იყოს მორგებული ეკონომიკურ სისტემას და ამ დროს მაინც გქონდეს წინსვლა. ჩემი აზრით, ევროკავშირი სწორედ იმიტომ იყო წარმატებული, რომ ყველა გადაწყვეტილებას შორის იყო ღრმა ურთიერთკავშირი. საქართველოს ეკონომიკაც 2004-2007 წლებში იმიტომაც იყო წინ წასული, რომ გადაწყვეტილებები იყო დინამიური. დღეს კი წარუმატებელია, რადგან ერთი გადაწყვეტილება ალთას არის, მეორე – ბალთას და არავითარი შიდა კავშირი არ არსებობს.

რაც შეეხება რუსი ექსპერტების მოსაზრებას სიტუაციურ ალიანსებთან დაკავშირებით, ეს ზედაპირული თემაა, რადგან ჯერ თითოეული ქვეყნის ეკონომიკა უნდა იყოს მყარი. აი, თვითონ გრინბერგმაც თქვა, რომ რეგიონალური კავშირის დროს რუსეთის ეკონომიკა იქნება 80 პროცენტი, დანარჩენის – 20. ერთობა ასე არ გამოვა. მით უფრო, რომ ის თავის პოლიტიკურ ინტერესებს არ თმობს. რუსეთისგან უნდათ მაქსიმალური სარგებელიო, ეს ასეც უნდა იყოს. ყველა ქვეყანა მოქმედებს საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

**მოდით, დავანებოთ თავი ახალ ალიანსებზე საუბარს და ჩვენს ქვეყანას მივხედოთ. სამწუხაროდ, ჩვენთვის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კიდევ დიდხანს არ დასრულდება. სააკაშვილი ომს არაფრით არ ამთავრებს და ჯერ ისევ მუშტებს იქნევს ჰაერში. ამიტომ საქართველო საჭირო დროს და ადგილს არ აღმოჩნდება, თორემ სწორი პოლიტიკის შემთხვევაში გლობალური ეკონომიკური კრიზისის ჩვენდა სასარგებლოდ გამოყენებაც შეიძლებოდა. რომ არა ომი და პოლიტიკური დაპირისპირება, ჩვენ ყველაზე უმტკივნეულოდ გადავიტანდით კრიზისს. მეტიც, ეკონომიკური ზრდაც გვექნებოდა.**

**თეა მოსია**

მურად ალაშვილის ფოტო

---

აკადემია



**კარგ ტრადიციად აქცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ თავისი სასიქადულო წევრების – როგორც ცხოვრებიდან წასულთა, ისე ჯანმრთელად მყოფთა – იუბილეების საზეიმოდ აღნიშვნა.**

# პერიკლესეული ფორმულითაც...

აკადემიის სხდომათა დარბაზში შემდგარი მორიგი შეკრება მიეძღვნა გამოჩენილი სწავლულის, საავტომობილო მანქანათმშენებლობის (მანქანათმცოდნეობისძ სფეროში ფართოდ აღიარებული ქართული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს რაფიელ დვალის (1909-1985ძ დაბადების 100 წლისთავს.

ზეიმობის გახსნისას აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ხაზგასმით აღნიშნა რაფიელ დვალის გამორჩეული წვლილი ჩვენს ქვეყანაში ტექნიკის მეცნიერებათა და მეცნიერულ ტექნოლოგიათა განვითარებაში და სიტყვა მოხსენებისთვის მისცა აკადემიკოს რობერტ ადამიას. მომხსენებლის შთამბეჭდავ გამოსვლაში სრულად წარმოჩნდა იუბილარის – შესანიშნავი მკვლევარისა და მეცნიერული მუშაობის ორგანიზატორის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და ლექტორის, დიდებული პიროვნების სახე.

რაფიელ დვალმა ფუნდამენტური გამოკვლევები შეასრულა ავტომობილისა და ტრაქტორის თეორიის, მანქანათა დინამიკის, მთის ფერდობებზე ტრაქტორის მუშაობის, სამთო გზებზე ავტომობილის მოძრაობის საკითხებში. ის იყო ავტორი ავტომობილისა და ტრაქტორის თეორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოებისა, მონოგრაფიებისა „ტრაქტორის თეორია“, „ავტომობილის თეორიის საფუძვლები“, „სამთო მიწათმოქმედების კვლევის საკითხისათვის“...

ცალკე გამოვყოფთ რუსულ ენაზე დაწერილ ორ ნაშრომს: „ფერდობებზე მუხლუხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორის მუშაობის შესახებ“, რომლის საფუძველზე რუსეთელმა აკადემიკოსმა ბორის სვირშევსკიმ მთელი ახალი თავი შეიტანა თავის სახელმძღვანელოში და მოსკოვში დასტამბულ წიგნს (ვახტანგ მახალდიანთან თანაავტორობითძ „მექანიკური წევა მთიან ადგილას“, რომელსაც ცნობილმა სპეციალისტმა, პროფესორმა სერგეი დაშკოვმა ასეთი შეფასება უბოძა: „აქ გადმოცემულია დიდძალი საინტერესო და ორიგინალური მასალა, რომელიც უთუოდ დიდ გავლენას იქონიებს სატრანსპორტო საშუალებათა შემდგომ პროგრესზე“.

ასევე გამოვყოფთ, თქვა მომხსენებელმა, რაფიელ დვალის ღვაწლს ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავებასა და ტომებად გამოცემაში (ვახტანგ ბერიძესა და როგნედა ლამბაშიძესთან ერთადძ.

იუბილარის ორგანიზატორულ საქმიანობაში ნიშანსვეტურია საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომობილების, ტრაქტორებისა და ავტოტრაქტორების ძრავების კათედრის დაარსება და გაძღოლა, სპის რექტორობა, აკადემიის სისტემაში მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის შექმნა და დირექტორობა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა ლეგენდარული ნიკო მუსხელიშვილის პრეზიდენტობის დროს...

საბჭოურ ხანაში რაფიელ დვალის მაღალი ავტორიტეტის აღიარებად უნდა აღვიქვათ რამდენიმე მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა.

საქართველოს სახელმწიფო პრემია, აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია, გდრ-ის აკადემიის საპატიო წევრად არჩევა, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა, სლოვაკიის აკადემიის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი – ეს არასრული ნუსხაა დაფასებისა თუ წარჩინების იმ ნიშნებისა, რომლებითაც აკადემიკოსი რაფიელ დვალი სიცოცხლეშივე გახდა გამორჩეული.

– „დაბადება ბედნიერებაა, მისთვის, ვინც კეთილი საქმეებით უკვდავჰყოფს თავის თავს“ – პერიკლეს ეს სიტყვები ხატოვნად მიესადაგება იუბილარის მოღვაწეობას... გვეამაყება, რომ ჩვენი მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი ესოდენ დამსახურებულად და ღირსეულად ატარებს რაფიელ დვალის სახელს, ესეც ხომ მისი უკვდავებააო, – ამგვარად დაასრულა მოხსენება აკადემიკოსმა რობერტ ადამიამ...

თბილი მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე, პროფესორები რევაზ მახარობლიძე, ოთარ მარგველაშვილი, თამაზ ნატრიაშვილი... რასაკვირველია, დამსწრეთა შორის იყო განსვენებული იუბილარის სიძე, თვალსაჩინო გეოლოგი, სმეა-ის წევრი, ბატონი მირიან თოფჩიშვილი, რომელსაც ვთხოვე რამდენიმე შტრიხის გაზიარება ხსოვნაში შემონახული სიმამრის პორტრეტისათვის.

– არ მახსოვს, ოდესმე ხმა აემაღლებინა ოჯახის წევრებზე, ვინმესთვის ესაყვედურა. საქმის, მოვალეობის იშვიათი ერთგულებით, საწერ მაგიდასთან საათობით ჯდომითაც გახლდათ ჩემთვის სამაგალითო. გული იმაზე მწყდება, რომ მის სიცოცხლეში „რიგითი“ მეცნიერი თანამშრომელი ვიყავი და გარდაცვალების მერე დავიწყე მეცნიერული აღმასვლა – გავხდი მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრი, რაშიც მის სანიმუშობასაც დიდად ვუმადლი. რაფიელ დვალი ჩემი მარტო სიმამრი კი არა, სულიერი მამაც ბრძანდებოდა...

მირიან თოფჩიშვილის ნათქვამის დამატებით შევნიშნავ – აკადემიკოს რაფიელ დვალის მრავალრიცხოვან მოწაფესა და აღზრდილს შორის მას ალბათ სხვებიც მიიჩნევენ სულიერ მამად...

**თამაზ ეზანოიძე**

## გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!

# ფარმაცევტული კომპანიები წამლებთან ერთად ავადმყოფებსაც ასაღებენ?!





**სოფელში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ერთი ჩემკბილა მეგობარი შემომრჩა. თავის დროზე კარგ პედაგოგად ითვლებოდა, ახლაც ვერ ნახავთ უქმად მჯდომს, ერთთავად რაღაცას ჩუჩქარაობს, იქით ვაზს ეფოლორცება, აქეთ — ვაშლისა და ატმის ნარგავებს და ოჯახში თავის სარჩენი მოსავალი შეაქვს.**

— როგორ მიდის საქმეები, ელიზბარ, — ვეკითხები ქალაქიდან სტუმრად ჩასული, — ჯანზე ხო ხარ მაგრად?

— საქმეზე რა მოგახსენო, აი ჯანზე კი ცოტა ვერლავესა ვარ.

— რატო, კაცო, — შევიცხადე, — სუფთა ჰაერზე შენა ხარ, თავანკარა ღვინოს შენა სვამ და ჯანს რატომ უნდა უჩიოდე?

— ეგრეა და რა ვქნა, — მოიღრუბლა ბერიკაცი, — ექიმები უფრო თავანკარა წამლების სმას მირჩევენ, ვიდრე ღვინისას.

— მოიცა, მოიცა! — შევაჩერე, — კახეთში როდის აქეთ დაიწყეს თავანკარა წამლების შემოტანა?

— უკვე კარგა ხანია, თანაც რა ფასი ადევს, არ იკითხავ? პენსია ხო მიაქ და მიაქ და თან ვენახისა და ბაღ-ბაღჩეულის შემოსავალსაც ეზიდება.

— შენც ცოტა იაფფასიანები სვი, რაღა თავანკარას მიადექი?

— არი რო? გინდაც იყოს, ექიმი მეუბნება, ეს ძვირფასიანი წამალი თუ არ დალიე, თანაც „ავერსში“ თუ არ იყიდე, შეიძლება მალე წყალგალმა გასვლა დაგჭირდესო.

— წყალგალმაო? არ გირჩევ. სხვა ექიმთან რომ მიხვიდე?

— ვიყავი. იმან კიდევ უფრო ძვირი წამალი შემირჩია, აფთიაქიც მიმითითა — „პესპეს“ გარდა ფეხი არსად შეადგაო.

— გშველის მაინც ეგ წამლები?

— რომ მშველოდეს, ეგრე ხო აღარ ვიქნებოდი? არ მინდა, რო ვთქვა, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, ეს ექიმები და აფთიაქები ერთმანეთში გარიგებული ხომ არ არიან?

ეს საუბარი მენიშნა, ამ ორიოდე დღის წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ საგანგაშო ინფორმაციას რომ გავეცანი. როგორც იქიდან შევიტყვე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრს“ კახეთის რეგიონში ჩაუტარებია გამოკვლევა, რომლის შედეგად ირკვევა, რომ ფარმაცევტულ კომპანიებსა და ექიმებს შორის გარიგებებისა გამო, ექიმები პაციენტებს ხშირად უწერენ ისეთ ძვირადღირებულ წამლებს, რომლებიც მათ არ სჭირდებათ(!ძ.

აუ, რას აღარ გაიგებ ადამიანი ამ პატარა, მაგრამ მთავრობასავით ანგარებიან ქვეყანაში. აღშფოთდები და რა აღშფოთდები და იქვე გაგიჩნდება კითხვა: მარტო კახეთში „მკურნალობენ“ ასეთი „ნოვატორული ტექნოლოგიით“ ავადმყოფებს თუ ქვეყნის სხვა რეგიონებშიც? როგორც ხსენებული ცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი მანაგაძე აცხადებს, კვლევა მართალია მარტო კახეთში ჩატარდა, მაგრამ იგივე პრობლემა აწუხებთ ადამიანებს იმერეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში და სხვაგან, სადაც საავადამყოფოები და სამედიცინო მომსახურების სხვა ობიექტები პირდაპირ ლობირებენ კომპანია „ავერსს“.

ლობირებენ და მერე როგორ ლობირებენ! ამის თაობაზე არაერთგზის შევახსენე პირადად „ავერსისა“ და „პესპეს“ თავკაცებს ჩვენი გაზეთის მეშვეობით, მაგრამ ვითომცდა არაფერიო, ბუზიც არ აიფრინეს. ანკი, ჩვენში რომ ვთქვათ, რატომ უნდა მიეყენებინათ კუთხეში საკუთარი თავი, როცა თეორიულად თავის დაძვრენის ალტერნატივა არსებობს? ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ გენერალური დირექტორისთვის, მაგალითად, გაუგებარია, რატომ უნდა დაუნიშნოს ექიმმა პაციენტს ისეთი წამალი, რომელიც მას საიმქვეყნოდ გაიმეტებს? ამას არ აჯობებს, ავადმყოფს წლების მანძილზე სრულად უმკურნალოს და ინვესტიციები, რომლებიც ჯანდაცვის სფეროში დაბანდდა, სრულად ამოქაჩოს?

ეს ისე, თეორიულად, რეალურად კი რა ხდება სამკურნალწამლო სფეროში, რომლის სათავე თავის დროზე იქ გაწოლილმა გველეშაპმა გვარიანად აამღვრია, ამას ყველა მშვენივრად ხედავს. ვინ იგულისხმება ამ გველეშაპში, არც ეს გახლავთ დამალული. ერთადერთი პაციენტი საქართველოში, რომელმაც სამკურნალწამლო თერაპიის „ნოვაციით“ არ იზარალა, სახელმწიფო მინისტრყოფილი, ბატონი კახა ბენდუქიძე გახლავთ, რომელსაც არადანიშნულებისამებრ გამოწერილმა წამლებმა ვერც „წონადობა“ შეუმცირა და ვერც ზნეობა დაუწმინდა. აი იმან კი, რასაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სტრუქტურების გაქრობა ჰქვია და რასაც სათავე კახა ბენდუქიძემ დაუდო, ფარმაცევტულ კომპანიებს — „ავერსსა“ და „პესპეს“ შიდა ბაზარზე ერთპიროვნული მმართველობის „ლიცენზია“ გადაუგდო. და ისინიც უაღვიროდ დაჯირითობენ და სხვა კომპანიებს, რომლებსაც უნდათ კონკურენცია გაუწიონ, ბაზარზე შემოსვლის უფლებას არ აძლევენ. ამას წამლების გაძვირებით და არაკეთილსინდისიერი სამედიცინო მომსახურებით განაწამები პაციენტები საკუთარ მხრებზე გრძნობენ.

კახა ბენდუქიძე, როგორც „გონიერი“ სახელმწიფო მოღვაწე, წონის გარდა სხვათაგან იმითაც გამოირჩევა, რომ რასაც დასანგრევად აიჩემებს, იმას კიდევაც ასაბუთებს. ასე იყო მაშინაც, როცა ანტიმონოპოლიურ სამსახურს დაადგა თვალი — ზედმეტი ტვირთია ქვეყნისთვის, დროზე თუ არ მოვიცილეთ, ეკონომიკურადაც გვაზარალებს და კორუფციასაც მოგვიმრავლებსო. კატას ფილტვი ესროლეს და იმასაც ეს უნდოდაო. ფარმაცევტულ ლიდერ კომპანიათა შორის ლიდერმა („ავერსი“ ასე უწოდებს საკუთარ თავსძ უმალ ისარგებლა მთავრობის მოწყალე გულით და შიდა ბაზარს კალიასავით მოედო, მარტო საზღვარგარეთული წამლების იმპორტით მიღებული შემოსავლები იცოტავა, პარალელურად გახსნა მედიკამენტების მწარმოებელი საწარმოები, კლინიკები, საბითუმო და საცალო გასაღების ქსელი და სხვა. ერთი სიტყვით, როგორც ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მოსწრებულად შენიშნავს, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ „მოსახლეობა დაბადებიდან გარდაცვალებამდე საკუთრებაში იყოლიოს“.

და ჰყავს კიდეც. ისე თვე არ გაივლის, მედიკამენტებზე (იქნება ისინი უცხოური თუ ადგილობრივი წარმოებისძ ფასების თამასამ ზევით-ზევით არ აიწიოს და ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობას, რომელსაც წამლობისთვის თანხები საერთოდ არ გააჩნია, ახალი საფიქრალი არ გაუჩინოს. მე თქვენ გეტყვით, მთავრობას გული დაეთუთქება ხალხის საცოდაობით და მონოპოლისტებს დაუცაცხანებს. პირიქით, ხელისუფლება ამით თვითონაც ითბობს ხელს და მონოპოლისტ ფარმაცევტ კომპანიებზე ახალ-ახალი ხარკის შეწერით გაზრდილ მადას პერმანენტულად იკმაყოფილებს. როგორც ცნობილია, ხსენებული კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ ხელისუფალთა საზღვარგარეთ გაუთავებელი ვოიაჟების, უცხოელ მომღერალთა მილიონიანი კონცერტებისა თუ სხვადასხვა შოუების დაფინანსებაში. აი იმათ კი, ვისი კისრიდანაც ამ ხარჯს იღებენ, როგორც ახლა ირკვევა, თურმე ექიმები ხშირად ისეთ ძვირადღირებულ წამლებსაც შეასაღებენ ხოლმე, რომელიც მათ არ სჭირდებათ(!?ძ.

მერე მსოფლიო გლობალური კრიზისი? ნუთუ ის მაინც არ აკვეცავს ფრთებს მონოპოლისტ ფარმაცევტულ კომპანიათა „შემოქმედებას“? არა, პირიქით, სამკურნალწამლო? ბიზნესი სწორედ ის სფეროა, რომელიც კრიზისის პირობებში გაჭირვებულ პაციენტთა ხარჯზე კიდევ უფრო მეტ შემოსავლებს იჯიბავს. თანაც თუ ამ ჯიბგირობაში მთავრობაც არის ჩართული, ხალხის ბედს, როგორც იტყვიან, ძაღლი არ დაყეფს!

**ოთარ ხუციშვილი**

## უსუსური პარალელები

# რუსი მოდისო, მაგრამ როდისო?

(მესამე გვერდიდან) ეს ხალხი, მიუხედავად წარსულში ჩადენილი დანაშაულობებისა, ქართველობაშია „ეჭვმიტანილი“. მაგრამ, მოდით, ისევ კახას დავუბრუნდეთ. კახას, რომელიც რუსეთშიც კი

### ვერ თმობს თავის „გრუზინობას“

**„რკინის კაცს“ თუ რამე დაუშავებია, ეს კორუფციაა. არ ვიცი, რამდენად მართალია მისი ნარკობიზნესში მონაწილეობა, არც იმ 800 მილიონისა მჯერა, მაგრამ ღარიბი რომ არ იქნება, ესეც უდავოა.**

საზოგადოებას ემახსოვრება პარლამენტარი ზაზა ოქუაშვილი, ერთი გორელი ბიჭი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩემს ხელში თუ არა, ჩემ თვალწინ არის გაზრდილი. ამ ახალგაზრდამ, სანამ ბიზნეს-პოლიტიკურ მწვერვალებს დაიპყრობდა, რომ იტყვიან, საკუთარი შრომით მოიპოვა პირველი კაპიტალი — 50 ათასი დოლარი. იმ არეულ დროს, როცა მხედრიონი და საძმოები პარპაშობდნენ, ამ კაცს კუტუზოვის ქუჩაზე ჰქონდა ერთი „ბუტკა“, სადაც ვაჭრობით მიღებულ კაპიკს კაპიკზე აწებებდა და ასე მოუყარა თავი სასტარტო კაპიტალს.

ალბათ ბედიც ჰქონდა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა — ასე შეიკრა სამკუთხედი — ასლან აბაშიძე, კახა თარგმაძე და ზაზა ოქუაშვილი, რომლის „კრიშაც“ იყო შს მინისტრი. გახსოვთ ალბათ „ელიზის“ განადგურების ხმაურიანი საქმე, რის შემდეგაც სიგარეტის ერთადერთ იმპორტიორ-მონოპოლისტად ზაზა ოქუაშვილის ფირმა „ომეგა“ იქცა. სარფიდან თუ ახალციხის საბაჟოდან ლამის ყოველდღე მინიმუმ 2-3 ე. წ. ფურა შემოდიოდა სიგარეტით დატვირთული. რა თქმა უნდა, ბაჟის გადაუხდელად ან მიზერული თანხის გადახდით.

აი, ეს არის ის კორუფციული დანაშაული, რის შესახებაც დანამდვილებით ვიცი, რაც სახსენებელიც არ არის „ნაცების“ დღევანდელ ელიტარულ კორუფციასთან.

ახლა, რაც შეეხება კახას „გრუზინობას“. ეს ფრთიანი ფრაზა — ქართველებს „გრუზინობა“ უნდა მოვაშლევინოთო, იგივე რესტორნის მენტალიტეტიო, როგორც ამბობენ, გიგი თევზაძეს ეკუთვნის, რომელიც ჭავჭავაძის უნივერსიტეტში რექტორის სავარძელში წარმატებით ეწევა ე. წ. ახალი ქართველის, გინდა ჰომონაციუსის ჯიშის სელექციას, რაც, თავის მხრივ, გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილის, გიგი უგულავას საოცნებო პროექტია.

იმას, რასაც გიგი თევზაძე დაცინვით „გრუზინობას“ და რესტორნის მენტალიტეტს ეძახის, ჩვენებურ ენაზე გულქართლობა და წინაპართა ტრადიციების ერთგულება ჰქვია, იგივე ქართული სულიერება, რომლის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გამოხატულება მამაპაპური ქართული სუფრაც არის. და დღეს, როცა ასე მოდაშია შევარდნაძის ხელისუფლების გინება, იმ ხელისუფლებას, ათასი დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, არაქართველობას ვერავინ დასწამებს თვით ისეთი იდიოზების ჩათვლით, როგორებიც ლევან ფაშა მამალაძე, ლევან პირველი და კახა თარგამაძე იყვნენ, რადგანაც ისინი ტრადიციულ ქართულ ოჯახებში გაიზარდნენ და შესაბამისად განათლებაც მიიღეს „აი, ია“-თი დაწყებული და შოთა, აკაკი, ილია, ვაჟათი დამთავრებული, რაც, სამწუხაროდ, უცხო ხილია კახა ლომაიას მიერ რეფორმირებულ სკოლებში.

**აქედან გამომდინარე, სარწმუნოდ მეჩვენება, რომ კახა თარგამაძე ანტიეროვნულს არაფერს ჩაიდენდა. გულწრფელი აღშფოთება მის ხმაშიც იგრძნობოდა. ხანდახან გულწრფელობა, გრძნობა კი ყველაზე უდავო საბუთია.**

ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — იმდენად დიდია უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, რომ მისი არათუ ტელეპასკვილების, „რუსთავი-2“-ში გამოცხადებული ამინდის პროგნოზისაც ლამის არავის სჯერა. და ეს აშკარად მაზოხისტური ხელების ფშვნეტა, სიამოვნებისგან გაბადრული სახეების ხილვა — არც ახლა დაიჯერებთ, ხალხო, რომ ყველაფერში დამნაშავე რუსეთი და იქ მცხოვრები მოღალატე ქართველები არიან, თორემ მიშა მაგარიაო— უკუღმა ეფექტით მუშაობს.

ვინმეს წარმოუდგენია, რომ თუნდაც კახა თარგამაძის დროს ვინმე გაბედავდა და პედერასტების პარადზე სიტყვა დასცდებოდა? ამათ დასცდათ კი არა, რომ არა ჩვენი დედაეკლესიის, პირადად უწმინდესის ავტორიტეტის მიმართ რიდი და შიში, რუსთაველზე სულ შლიგინით ჩაივლიდნენ ე. წ. „სექსუალური უმცირესობები“.

**არა მგონია, ჩვენი პრეზიდენტის სურვილი იყოს ეს უზნეობა. ამის აპოლოგეტები არიან ლევან რამიშვილები და გიგი თევზაძეები, რომელთა ჭკუით აშენებულ საქართველოში ცხოვრება არ მინდა. ამიტომ წერილს „მთვარის მოტაცებიდან“ ქორა მახვშის მჭრელი პერიფრაზით დავასრულებ, სადაც ის ამბობს — „როცა გზა აქამდე მიაღწევს, სიცოცხლე აღარ მინდა“...**

**ჰოდა, როცა თბილისში პედერასტების პარადი ჩატარდება, მე სიცოცხლე აღარ მინდა და ვინც ამას შეეწინააღმდეგება, ყველას მივესალმები. თვით „გრუზინს“ და რესტორნის მენტალიტეტიან კახა თარგამაძესაც კი.**

**დავით მხეიძე**

## ნავთობის ბაზარი

**_მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური რეცესიის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იპოთეკური კრიზისია, რომლის პირველივე სიმპტომები მაშინვე აისახა მსოფლიო მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგზე, როგორიცაა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. იმის გამო, რომ მშენებლობა საქართველოს, ფაქტობრივად, უმთავრესი და მრეწველობის სხვა დარგებთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროა, ამან ნეგატიურად იმოქმედა მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაზე. ამ მხრივ არც ნავთობპროდუქტების მოხმარების ბაზარია გამონაკლისი, რომელიც ბოლო დროს საგრძნობლად შეიკვეცა. ნავთობპროდუქტების მასალების რეალური შემცირებისა და, ამავდროულად, წლის დამდეგიდან მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასის განუხრელი ზრდის ფონზე, ქვეყანაში საწვავის ფასმა საგრძნობლად მოიმატა და ახლო მომავალში მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გაძვირება. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ნავთობის მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარეს ვანო მთვრალაშვილს._**

# „სამართლიანი“ ფასის ტკივილი

— მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასი ბოლო თვეების მანძილზე დაახლოებით 58-60 პროცენტით გაიზარდა. სულ რამდენიმე დღის წინათ ერთ ბარელ ნავთობზე შვიდი თვის მაქსიმალური ფასი — 73,23 დოლარი, ხოლო ივნისის შუა რიცხვებში, ლონდონის ნავთობის ბირჟაზე ერთი ბარელის IPE Brent Grude-ს ტიპის ნედლი ნავთობის ფასი 70,24 დოლარი იყო, ხოლო ნიუ-იორკის ნავთობის ბირჟაზე Light Sweet Grude Oil-ის ტიპის ერთი ბარელის ფასმა კიდევ უფრო მაღალ ნიშნულს — 70,47 დოლარს მიაღწია, — აღნიშნა ბატონმა ვანო მთვრალაშვილმა. მისი თქმით, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ნედლ ნავთობზე ფასის ზრდაზე ძლიერ გავლენას ახდენს ამჟამად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში არსებული ვითარება. თავდაპირველად, ნავთობზე ფასის მკვეთრი ვარდნის მიზეზი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი გახდა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ნავთობის ძირითადი მომხმარებელი ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის წილად 25 პროცენტი მოდის და, შესაბამისად, ამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის ნებისმიერი ცვლილება, ხშირად მასზე ფასის განმსაზღვრელია. როცა შარშან, წლის მიწურულს, ნავთობის ფასი დაბალი იყო (ბარელში 30-35 დოლარიძ, ამის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყანაში მძლავრი რეცესიული პროცესები მიმდინარეობდა, მაშინ საფონდო ბირჟებზე მთავარი ინდექსებიც მინიმალურ ნიშნულებზე იყო, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პიკი იყო, ყველაფერმა ამან ნავთობზე მოთხოვნილება მინიმუმამდე შეამცირა, არც სამომავლო პროგნოზები იყო საიმედო, რის გამოც ფასიც შემცირდა.

— ახლა კი, როცა აგერ უკვე რამდენი თვეა ნავთობის ფასი განუხრელად იზრდება, ამის მიზეზიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სადღეისოდ შექმნილ ვითარებასა და, შესაბამისად, ნავთობზე მოთხოვნის გაზრდაში უნდა ვეძიოთ, — განაგრძობს ბატონი მთვრალაშვილი. — სადღეისო პროგნოზებით, მსოფლიოს ეკონომიკურად მძლავრი ქვეყნების უმრავლესობაში, რეცესიული პროცესები თანდათანობით შენელდა, ზოგან კი, სულაც, გარკვეული ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაც აღინიშნება. ასეა, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, იაპონიაში, რომელთაგან ბოლო ორი, ნავთობპროდუქტების მოხმარების მხრივ, მსოფლიოში, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილზე არიან, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ საბანკო სფერო ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ევროპაში, აზიის მძლავრ ქვეყნებში ბოლო დროს გამოცოცხლდა, და, შესაბამისად, ნავთობზე მოთხოვნაც გაიზარდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნედლ ნავთობზე დაბალი ფასის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგენი იყვნენ (და ახლაც არიანძ OPEC-ის, ანუ ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის წევრები, რომლებიც მსოფლიო ნავთობის მარაგის დაახლოებით 40 პროცენტს ფლობენ. OPEC-მა ნავთობის მოპოვების კვოტის მკვეთრი შემცირებით ხელი შეუწყო ამ წიაღისეულზე ფასის მნიშვნელოვან ზრდას. მათი არგუმენტი ის არის, რომ ნავთობის მოპოვებისა და მისი შემდგომი გადამუშავების ინდუსტრიას ახლანდელ და, მით უმეტეს, სამომავლო განვითარების მნიშვნელოვანი ინვესტიციები სჭირდება, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამჟამინდელი კრიზისიდან თანდათანობით გამოსვლის ფონზე. ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ნავთობზე მაღალი ფასის პირობებში. საგულისხმოა ისიც, რომ, ასე ვთქვათ, „სამართლიან“ ფასად OPEC-ს ბარელში 75-80 დოლარი მიაჩნია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წლის დამლევისთვის მის არც 100 დოლარის ნიშნულამდე აწევას გამორიცხავს.



ნავთობის მსოფლიო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე საუბრისას ბატონმა ვანო მთვრალაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნედლეულის მიმდინარე ფასზე მუდმივად მოქმედებს ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების არსებული მარაგები (რომელთა მოცულობა სადღეისოდ რამდენადმე შემცირებულიაძ, ასევე დოლარის კურსი ევროსა და სხვა ვალუტებთან მიმართებაში (რომელიც სადღეისოდ რამდენადმე გაუფასურებულიაძ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოც მეტ-ნაკლებად მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებული ქვეყანაა, აღნიშნული პროცესები ნავთობპროდუქტების ფასებზე ჩვენშიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ. კერძოდ, ივნისის შუა რიცხვებში არსებული მდგომარეობით „PLATTS EUROPIAN MARKETSCAN“ — „FOB MED (ITALY)“-ის მონაცემებით, ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასებია: **ერთ ტონა ბენზინზე — 704 დოლარი (წლის დამდეგს — ტონაზე 325 დოლარი), ხოლო დიზელის საწვავზე — ერთ ტონაში დაახლოებით 550 დოლარი (წლის დამდეგს ეს მაჩვენებელი 368 დოლარი იყო).** აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ ფასს ემატება ტრანსპორტირების, აქციზის, დღგ-სა და სხვა გადასახადები. შესაბამისად, ნავთობპროდუქტის სარეალიზაციო ფასიც ამ დანამატების გათვალისწინებით დგინდება.

დაბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ფასებიდან გამომდინარე, **ბოლო 2-3 თვის განმავლობაში საქართველოს საცალო ქსელში ნავთობპროდუქტების ფასი პერიოდულად 5-5 თეთრის ბიჯით იზრდებოდა და სადღეისოდ, წლის დამდეგთან შედარებით, საშუალოდ 25-30 თეთრითაა მომატებული.**

იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქვეყანაში ევროპიდან შემოზიდული ნავთობპროდუქტების ფასი აზერბაიჯანიდან შემოტანილთან შედარებით უფრო მაღალია, ხოლო მომდევნო ფასების ზრდა დაახლოებით 1-1,5 თვეშია მოსალოდნელი.

**ოთარ ტურაბელიძე**

## მომსახურება

# მომხმარებელი რომ კმაყოფილი გვყავდეს

**— ჩვენი უპირველესი ამოცანაა აბონენტებთან შეთანხმებული თანამშრომლობა, მათი მომსახურების სრულყოფა, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ქვემო ქართლის გაერთიანებული ტელეკომის დირექტორმა ლევან ურუშაძემ.**

— მე არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ამ კოლექტივს ვხელმძღვანელობ და მინდა ვთქვა, რომ განსაკუთრებით რუსთავში შესანიშნავი კადრი დამხვდა. მე ასე მწამს, პირველ რიგში ადამიანური ურთიერთგაგება და თანადგომა უნდა იყოს. მაშინ საქმე უკეთ აეწყობა. მით უმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს ათასობით მომხმარებელთან. პროფესიონალიზმიც მაშინ უკეთ ვლინდება. მიღწეულით ჯერ ბოლომდე კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან თვითკმაყოფილება საქმეს ვნებს. როდესაც გუნდური წესით მოქმედებ, შეთანხმებულად და პასუხისმგებლობაც თან ერთვის, ასეთ დროს შედეგი არ აყოვნებს.

— მაინც რისი შეკეთება მოასწარით, რა სასიკეთო ცვლილებები გაატარეთ რუსთავსა და ქვემო ქართლში, რამაც სასურველი შედეგი მოუტანა მომხმარებელს და თქვენს კოლექტივსაც?..

— როდესაც მენეჯმენტი უკეთესობისკენ იცვლება, ყოველთვის არის შედეგი. მთავარია სიახლისკენ გაბედული სწრაფვა. მე, რა თქმა უნდა, დავეყრდენი ჩემს პრინციპებს და შევეცადე პრაქტიკაში დამენერგა ყოველივე ის, რაც დღევანდელობას უკეთ წაადგება. პირველ რიგში, ჯანსაღი კონკურენცია, რა თქმა უნდა, არსებული რეზერვების ამოქმედებით. შევძელით, მომხმარებელი ადრე არსებულის ნახევარ ფასად — 100 ლარად გამხდარიყო ტელეკომის აბონენტი. ეს ერთთვიანი აქცია ნამდვილად შედეგიანი გამოდგა. სხვა ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებაც გვაქვს დაგეგმილი.

მოგეხსენებათ, გაერთიანებული ტელეკომი საქართველოში ყველაზე დიდი კავშირგაბმულობის ქსელია. ამდენად, ჩვენს მომხმარებელს საშუალება აქვს, უფასოდ ესაუბროს ქვეყნის ნებისმიერ რაიონსა თუ სოფელში მცხოვრებ თავის ახლობლებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიაფდა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანთან წუთობრივი საუბრის ღირებულება. ეს მოხდა ქვემო ქართლის მრავალეროვნული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. განსაკუთრებული სიახლეა უსადენო ტელეფონების მოხმარება. ამ სიახლემ ძირფესვიანად შეცვალა აბონენტთან ურთიერთობა. სადენების გარეშე სატელეფონო აპარატით შეგიძლია ისარგებლო როგორც შინ, ასევე ქალაქიდან გასვლის შემდეგაც, აგარაკზე, თუნდაც სოფლად. იმავდროულად ეს კომფორტული და ოპერატიული სერვისი მსურველს შეუძლია მნიშვნელოვანი ფასდაკლებით 90 ლარად შეიძინოს, აქედან 30 ლარი სასაუბროდ დეპოზიტზე დაერიცხება.

საყურადღებოა ისიც, რომ DSL-მომსახურება თავიდან თითქოს რუსთავის პრიორიტეტად ითვლებოდა, ამჟამად კი მას ჩვენს ფილიალებშიც მიიღებენ. გაფართოვდება მისი დარეგისტრირების არეალი. შესაბამისად, სრულყოფილი გახდება როგორც ტექნიკური მომსახურება, ასევე სიხშირის რეგულირება და სხვა.

დღემდე ჩვენი აბონენტების ინტერნეტმომსახურება გაერთიანებული ტელეკომის ცენტრალური ოფისიდან ხორციელდებოდა, რაც გარკვეულ ბარიერებს ქმნიდა, რადგან რეგისტრაცია თბილისიდან ხდებოდა. შედეგად, მოსახლეობას რიგში დგომა და ხანგრძლივი ლოდინი უწევდა. გარდა ამისა, იქმნებოდა ტექნიკური პრობლემებიც. ახლა ეს პრობლემაც მოიხსნა, რადგან DSL-მომსახურების სერვისი რუსთავში ფუნქციონირებს. ქვემო ქართლის ტელეკომის ცხელი ხაზის ნომერია — 127000. შეგიძლიათ დარეკოთ და 24 საათში ინტერნეტმომსახურება ჩაირთვება. ასევე ოპერატიულად მოგვარდება ყველა აუცილებელი ტექნიკური პრობლემა. არც შეჭირვებული ადამიანები დაგვიწყებია. პირველი ჯგუფის ინვალიდები, უსინათლოები და მარტოხელა უმუშევრები შეღავათებით ისარგებლებენ.

* * *

...ჩემთვის, მრავლისმნახველი ჟურნალისტისთვის, სასიამოვნო აღმოჩენა იყო ახალგაზრდა ხელმძღვანელის თავაზიანობა, სიდარბაისლე, საქმის ღრმა ცოდნა და, რაც მთავარია, დიდი სიყვარული და პატივისცემა ადამიანებისადმი, რომელთათვისაც მისი კაბინეტის კარი ნებისმიერ დროს ღიაა.

არადა, გადიდკაცებული ახალგაზრდა ხელმძღვანელების კარებთან კბილებამდე შეიარაღებული ბიჭების რაზმი დაგვხვდება ხოლმე, თუნდაც სრულიად უწყინარი სამსახური იყოს — განათება თუ სხვა მსგავსი დარგები.

**გივი ჯახუა**

***P. S. ახლახან გაერთიანებული ტელეკომის ინიციატივით ქალაქ რუსთავში 15 წლამდე ასაკის მოზარდთა რაგბის ფესტივალი ჩატარდა, სადაც ქვეყნის მასშტაბით 35 სარაგბო კლუბი მონაწილეობდა. ეს ფესტივალი ახალგაზრდა მორაგბეთა აღზრდას და ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, რაც თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია.***

## ინფორმაცია

### საქართველოს კონტროლის განხორციელებით რუსეთი მთელ რეგიონს დაიპყრობს

**ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი რუსეთ-საქართველოს დაძაბულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

**— რუსეთს თავისი მთავარი სტრატეგიული მიზნისათვის არ მიუღწევია. რუსეთი ვერ აკონტროლებს საქართველოზე გამავალ ნავთობსადენებს, პორტებს, სატრანზიტო დერეფნებს. საქართველოზე კონტროლის განხორციელებით რუსეთი ფაქტიურად კონტროლს აიღებს მთელ რეგიონზე და თავისთავად ეცდება გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ენერგობერკეტი, რათა იმოქმედოს ევროპაზე თავისი გავლენის გასაძლიერებლად. ბოლო პერიოდში დაძაბულობის ზრდა კონფლიქტურ ზონებში და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო სამხედრო რიტორიკას არ ეშვება, ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ შესაძლებელია კვლავინდებურად განმეორდეს პროვოკაცია რუსეთის მხრიდან. ამიტომ ქვეყნის შიგნით პოლიტიკურად დაძაბული სიტუაციის დასტაბილურება, ერის კონსოლიდაცია მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერისა და გარე აგრესიების მოსაგერიებლად, — ნათქვამია ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## რუსეთმა ომი გააჩაღა, რათა ხელში ჩაეგდო ნავთობ და გაზსადენები, ამტკიცებს სააკაშვილი

**შარშან რუსეთმა საქართველოსთან გააჩაღა ომი, რათა ხელში ჩაეგდო ნავთობსადენები, განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში. „ჩვენ რუსეთს არ დავსხმივართ თავს. ჩვენ ხომ არ მივფრინავდით მოსკოვის დასაბომბად“,** – თქვა მან ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადადგება კონფლიქტის დროს თავისი მოქმედებების გამო.

სააკაშვილის სიტყვებით, პუტინი ცდილობს ხელში ჩაიგდოს მთელი საქართველო, ვინაიდან მისთვის ეს იქნებოდა დასავლეთთან გეოპოლიტიკური დაპირისპირება. „ომის დაწყებიდან ხუთი დღის შემდეგ ბუშმა თქვა: „ჩვენ არ მივცემთ მათ იმის საშუალებას, რომ შევიდნენ თბილისში. ამ განცხადებიდან ნახევარი საათის შემდეგ რუსებმა დაიწყეს უკან დახევა“, – გვაცნობა პრეზიდენტმა, რომელმაც ამავე დროს აღნიშნა, რომ რუსეთის ჯარების პოზიციიდან სამხრეთ ოსეთში სულ ათი კილომეტრია უდიდეს ნავთობსადენამდე, რომლის მეშვეობითაც დასავლეთი ღებულობს ნავთობის ყოველდღიური მიწოდების ერთ პროცენტს.

THE TIMES

ფილიპ პენკი

## „ჩვენ მხოლოდ ერთი პრობლემა გვაქვს – რუსეთი“

**საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ არ გადადგება მაშინაც კი, თუ დამოუკიდებელი კომისია მივა გადაწყვეტილებამდე, რომ პასუხისმგებელი იგია ომისათვის შარშან აგვისტოში**. „ამავე დროს ვერავითარი გამოძიება ვერ იტყვის, რომ მე არასწორად მოვიქეცი. სამხრეთი ოსეთი – ჩვენი ტერიტორიაა. ზოგიერთი იდიოტი ამბობს, რომ ჩვენ დავიწყეთ ომი, არ გავითვალისწინეთ რუსეთის შემოჭრის საშიშროება. ერთადერთი, რასაც მე ვწუხვარ, ესაა ის, რომ ჩვენ უფრო ადრე არ დავიწყია“, – აღნიშნა მან კორესპონდენტთან საუბარში.

მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი აპირებდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებას კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან. „ამას ეწოდება ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა“, – თქვა მან.

„მე არ მივანიჭებ რუსეთს იმის კმაყოფილებას, რომ მომიღოს ბოლო. ჩემი პოპულარობა 60 პროცენტია და მაქვს საერთაშორისო მხარდაჭერა. რისთვის მჭირდება არჩევნები, თუ ევროპაში ზოგიერთი მთავრობის პოპულარობის დონე 20 პროცენტს არ აღემატება?“ – აღნიშნავს სააკაშვილი.

მან გამოთქვა უკმაყოფილება აფხაზეთში გაეროს მისიის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნა, რომ იგი იყო „ძალიან სუსტი“, ვინაიდან არ შეუშალა ხელი რუსეთს, მრავალი წლის განმავლობაში ესროლა ჩვენი დასახლებული პუნქტების მიმართულებით“.

დასასრულ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ „საერთაშორისო თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი პრობლემა – რუსეთი“. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, მას უფრო მეტად აღელვებს პარლამენტის ოპოზიცია, ვიდრე ქუჩის პროტესტები.

EL PAIS

ხეორკინა იგერასი

## დედამიწის ზურგზე



**ყირგიზეთის პარლამენტმა მოიწონა „მანასის“ ბაზაზე ამერიკის შეერთებული შტატების სატრანზიტო ცენტრის შექმნა**

დოკუმენტში გათვალისწინეუბლია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ აეროპორტის გამოყენებისათვის ყოველწლიური საიჯარო გადასახადის შეტანა 60 მილიონი დოლარის ოდენობით, ადრე გათვალისწინებული 17,5 მილიონი დოლარის ნაცვლად. პენტაგონმა ამავე დროს ბიშკეკის აეროპორტში უნდა ააშენოს ტერმინალი თავისი თვითმფრინავებისთვის და მოედნები ტვირთის განსათავსებლად.

* * *



**აფეთქება ერაყში, რომელმაც იმსხვერპლა 17 კაცი, გავლენას არ მოახდენს ამერიკის ჯარების გაყვანაზე**

ამის შესახებ განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რობერტ გიბსმა. ამერიკელმა სამხედროებმა ერაყის ქალაქები უნდა დატოვონ 30 ივნისისათვის. წინა დღით ქვეყანაში მოხდა ორი სერიოზული ტერორისტული აქტი, რომლებმაც იმსხვერპლეს 140-ზე მეტი კაცი.

* * *

**თეირანში მოხდა ახალი შეტაკებანი პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის**

თვითმხილველთა ცნობით, პროტესტის მონაწილეთა დასაშლელად პოლიციამ გამოიყენა ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი. პასუხად მანიფესტანტებმა დაიწყეს ქვების სროლა, ააგეს ბარიკადები. როგორც იტყობინებიან, ქუჩებში გამოვიდა რამდენიმე ათასი კაცი. ინფორმაციის დაზუსტება შეუძლებელია – ირანის ხელისუფლებამ შეზღუდა უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობა.



## თურქეთი თანახმაა

**მოლაპარაკება მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში. ამჟამად მთავრობათა შეთანხმებანი მილსადენ ნაბუკოსთან დაკავშირებით თითქმის მზადაა. მათ უნდა უზრუნველყონ ევროპა გაზით კასპიის ზღვიდან და გააკეთონ ეს რუსეთის ენერგორესურსების ექსპორტისაგან დამოკიდებლად.**

გერმანიის კომპანია RWE-ის ბერლინის წარმომადგენლობაში თურქმენი სტუმარი ცოტა განზე იჯდა. ეს დიპლომატი ჭიქა ღვინით ხელში საუბრობდა წამყვან პოლიტიკოსებთან და გერმანიის ენერგეტიკული სექტორის გავლენიან ხელმძღვანელებთან. მისი ქვეყანა ამ კომპანიას მიაწვდის იმდენ გაზს, რამდენსაც იგი მოისურვებს, აღნიშნა მან. პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიუხამედოვმა მისცა ნება ამ კომპანიას დაზვეროს, შემდეგ კი დაამუშაოს საკუთარი გაზის საბადოები კასპიის ზღვაში. სტუმარმა თქვა, რომ მის ქვეყანას სურს აიღოს ორიენტაცია დასავლეთზე. როგორც ამ კომპანიის ხელმძღვანელები გვარწმუნებენ, ხელი მოეწერა შესაბამის ჩარჩო-შეთანხმებებს.

მას შემდეგ, რაც თურქმენეთმა დაარწმუნა ყველა იმაში, რომ მას შეუძლია მიაწოდოს გაზი იმ ოდენობით, რაც აუცილებელია ნაბუკოს მილსადენების შესავსებად, 3 300 კილომეტრის სიგრძის ამ გაზსადენის მშენებლობის პროექტი იმყოფება თავისი განხორციელების ზღვარზე. ზოგიერთი პიროვნების მტკიცებით, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობდნენ, ამ დღეებში განიხილავენ უკვე მზა სამთავრობო ხელშეკრულებებს ყველა ტრანზიტულ ქვეყანასთან, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში. შემდეგი კვირების განმავლობაში, ალბათ, ხელი მოეწერება შესაბამის დოკუმენტს ანკარასთან. ამით შეიქმნება პირობები ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პროექტის განხორციელებისათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში. მშენებლობა უნდა დაიწყოს 2011 წელს.

ნაბუკოს გაზსადენის ამოქმედებამ უნდა უზრუნველყოს, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ ევროპისა და გერმანიის გაზმომარაგება. რუსეთისა და უკრაინისაგან დამოკიდებულება უნდა შემცირდეს.

ევროკავშირი ამ პროექტისთვის გამოყოფს დიდ თანხებს. სხვადასხვა განვითარების ბანკისა და სახელმწიფო ფონდების მეშვეობით მთლიანად დაიხარჯება 3,8 მილიარდი ევრო. მთლიანად ეს დაახლოებით პროექტის ინვესტიციების თანხის ნახევარია.

ამის აუცილებლობა წარმოიქმნა იმიტომ, რომ საფინანსო კრიზისის პერიოდში ბანკები უფრო ფრთხილი გახდნენ. ტრანზიტული ქვეყნები კი, როგორებიცაა, მაგალითად, უნგრეთი ან ბულგარეთი მათი ენერგეტიკული კომპანიებით, არ განეკუთვნებიან პოპულარული მსესხებლების კატეგორიას. ამიტომ მხოლოდ ევროპის საინვესტიციო ბანკი აპირებს ამ მიზნებით გასცეს კრედიტი, რომელიც 2,5 მილიარდ ევროს აჭარბებს. ამას დაემატება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მილიარდიანი კრედიტი და პირდაპირი სუბსიდია, რომელსაც საკონიუნქტურო პროგრამის ფარგლებში ევროკავშირი გამოჰყოფს.

სულ რამდენიმე დღის წინათ, ეკონომიკის ფედერალური სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი გეტლეფ დაუკე იმყოფებოდა აზერბაიჯანში. ვიზიტის მიზანი იყო ამ კასპიისპირა ქვეყნის ჩართვა თანამშრომლობაში. დაუკე დაჰპირდა აზერბაიჯანელებს, რომ ეს პროექტი ახალ ეტაპს გახსნის ევროპის ენერგეტიკულ ისტორიაში და გახდება საფუძველი ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობისთვის. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი იძლევა ყოველწლიური მიწოდების გარანტიას 7 მილიარდი კუბმეტრი გაზის ოდენობით ნაბუკოს გაზსადენის შესავსებად.

როგორც ჩანს, თურქეთთანაც კი უახლოეს პერიოდში მოხდება ამ პრობლემის გადაწყვეტა. აქამდე თურქები ითხოვდნენ საკუთარი საჭიროებისათვის გაზის 15 პროცენტს, რომლებიც ევროპაში გავა ნაბუკოს მეშვეობით.

ნაბუკოს გაზსადენის დამპროექტებლები უახლოეს პერსპექტივაში განიხილავენ ირანთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც კი. ირანის ნავთობის მინისტრი გოლამ ხოსეინ ნოზარი რამდენიმე კვირის წინათ იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც აწარმოებდა მოლაპარაკებას ნაბუკოს პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. როგორც საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, იგეგმება ირანის ნავთობსაბადოს ჩართვაც ამ გაზსადენში იმ მილსადენების დახმარებით, რომლებიც მოდიან სირიისა და ერაყის გავლით. გეგმაში ირანის ჩართვაც კი არის გათვალისწინებული ევროპა-აზიის გაზსატრანსპორტო ქსელში თურქეთის ტერიტორიის გავლით.

დავიდ შრავენი

DIE WELT.de

## ევროკავშირის კომისია: ომი სააკაშვილმა გააჩაღა

**ამ კვირაში გავლენიან გერმანულ ყოველკვირეულ „შპიგელში“ გამოჩნდა უსაგულისხმოესი პუბლიკაცია. ჟურნალისტმა უვე კლასმანმა მოახერხა იმ კონფიდენციალურ დოკუმენტებში ჩახედვა, რომლებიც მოამზადა კავკასიაში 2008 წლის აგვისტოში სამხედრო მოქმედებების გამოძიების ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ.**

ეს გახლავთ ევროკომისიის გადაწყვეტილებით შექმნილი სერიოზული ორგანო. მისი ბიუჯეტი შეადგენს 1,6 მილიონ ევროს, აქ შედის ათობით სამხედრო ექსპერტი, პოლიტოლოგი, იურისტი. კომისიას ხელმძღვანელობს შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი, რომლის სპეციალობაა კონფლიქტები „ცხელ წერტილებში“. ივლისის ბოლოს ხსენებულმა ქალბატონმა ბრიუსელში უნდა წარადგინოს შემაჯამებელი ანგარიში იმის თაობაზე, თუ ვინ ააგორა კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის ირგვლივ. ჰოდა, როგორც „შპიგელმა“ გამოარკვია, ასეთი მოხსენებისგან საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს კარგი დღე არ დაადგება.

ექსპერტთა დიდი უმეტესობა, წერს ჟურნალი, გამოკვეთილ დასკვნამდე მივიდა: **ომი დაიწყო სააკაშვილმა**, როცა სამხრეთ ოსეთს შეუტია 2008 წლის 7 აგვისტოს. „კომისიის მიერ თავმოყრილი ფაქტები, – ნათქვამია „შპიგელის“ პუბლიკაციაში, – უარყოფენ მიხეილ სააკაშვილის მტკიცებებს, თითქოს მისი ქვეყანა იმ დღეს „რუსეთის აგრესიის“ უცოდველი მსხვერპლი აღმოჩნდა“ (სწორედ ასეა, გამოთქმა „რუ-



სეთის აგრესია“ ჩასმულია წინწკლებში – „КП“-ს რედაქციაძ.

საერთაშორისო სამართლის დარგში ჰამბურგელი სპეციალისტი ოტო ლიუჰტერნჰანტი ასეთ დასკვნამდე მივიდა: **„რამდენადაც ქართველებმა დაარტყეს რუსეთელ მშვიდობისმყოფელთა ბაზას ცხინვალში, რუსეთს ჰქონდა თავის დაცვის უფლება გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად.**

კომისიის მიერ შეგროვილ საექსპერტო დასკვნებს შორის სხვა მსჯელობებიც გვხვდება, ოღონდ ისინი აბსოლუტურ უმცირესობად გამოიყურებიან. ესაოდა, **„რუსეთმა პროპორციულობის პრინციპი დაარღვიაო“**. სხვა სიტყვებით, აგრესორებს ძალიან მაგრად მოსცხოო; თუმცა ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, გემოვნების საქმეა.

„შპიგელში“ პუბლიკაციის ავტორი, რომელმაც კომისიის წევრთა ანგარიშები გადაიკითხა, ამტკიცებს: „არ არსებობს სააკაშვილის ბრალდებათა დამადასტურებელი არავითარი დამოწმებები, თითქოს რუსეთის 150-ტანკიანი კოლონა სამხრეთ ოსეთში შეიჭრა შარშანდელი 7 აგვისტოს საღამოს“. პირიქით, ევროპელებმა ზუსტად დაადგინეს, რომ **8 აგვისტომდე რუსეთელი სამხედროები არ ყოფილან სამხრეთ ოსეთში**. ეგ კიდევ ცოტაა, საქართველოს პრეზიდენტი აგრესიის მომზადებაში ამხილეს: **„სააკაშვილმა 7 აგვისტოსათვის თავი მოუყარა 12 ათას ჯარისკაცსა და 75 ტანკს სამხრეთ ოსეთთან საზღვარზე“**.

ეგებ ვინმემ თქვას, რომ ეს რეალური პოლიტიკოსების კი არა, პოლიტოლოგთა და მეცნიერთა შეხედულებებია. შეცდება კიდევაც. ეგ იმიტომ, რომ კომისიის მასალებში აღნიშნულია: „თბილისში გერმანიის ელჩმა უვე შრამმა თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს გასულ ზაფხულს აცნობა, რომ სააკაშვილი ომს აპირებს “.

აქვე სათქმელად, კომისიის წევრები ვერა და ვერ ელირსნენ საქართველოს ხელისუფალთაგან ეგრეთ წოდებულ „ბრძანება №2“-ს „სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის შესახებ“, რომელიც 7 აგვისტოს გაახმიანა მაშინდელმა ქართველ მშვიდობისმყოფელთა სარდალმა მამუკა ყურაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ევროპელებს აღელვებს – მაინც როგორია ყველაფერ ამაში აშშ-ის როლი? ამერიკელები ხომ მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს სამხედრო დახმარებას უწევდნენ, – წერს „შპიგელი“. ჰოდა რატომ იყო, შეკითხვას სვამს გერმანელი ჟურნალისტი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის არც ერთი მოხელე 8 აგვისტოს არ უპასუხებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეშფოთებულ დარეკვებს – ვაშინგტონში ხომ ეს გახურებული სამუშაო დღე გახლდათ, პარასკევის შუადღე?

საერთოდ კი ამ შეკითხვაზე პასუხი მოიძევება. მას აგრეთვე შეიცავენ ევროკავშირის კომისიის მასალები. დენიელ ფრიდი, მაშინდელი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე და საქართველოზე პასუხისმგებელი, გამოსტეხია ერთ გერმანელ ექსპერტს: **„შარშანდელ აგვისტოში სააკაშვილი უკონტროლო გახდა“.**

ისე, ძალიან ძვირი ხომ არ უჯდება მსოფლიო თანამეგობრობას მიშიკოს გამოხდომები?

ბორის ანდრეევი.

***რედაქციისგან:** ჩვენ უკომენტარებოდ გთავაზობთ რუსეთული გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდას“ 19 ივნისის ნომერში მოთავსებული წერილის სრულ თარგმანს. მხოლოდ რამდენიმე ადგილი გამოვყავით კურსივით. დასკვნები თავად გამოიტანოს მკითხველმა...*

## წიგნი

**გამომცემლობა „ტექნიკურმა უნივერსიტეტმა“ დასტამბა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორების შოთა ნემსაძისა და შალვა ნაჭყებიას სახელმძღვანელო „ელექტრული წრედების თეორია“. იგი ავტორთა მიერ ელექტროტექნიკის სფეროში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაწეული მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის განზოგადოებული ფუნდამენტური ნაშრომია და ეძღვნება დიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ელექტროტექნიკური განათლების ფუძემდებლის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ნათელ ხსოვნას.**

# მეტად საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელო

ელექტრული წრედების თეორია არის პირველი ელექტროტექნიკური დისციპლინა, რომელიც ისწავლება მსოფლიოს თითქმის ყველა უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე, როგორც ფუნდამენტური საუნივერსიტეტო კურსის – ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლების ძირითადი შემადგენელი ნაწილი.




წარმოდგენილი სახელმძღვანელო სრულად პასუხობს ელექტრული წრედების თეორიის საგნის დანიშნულებას – გააცნოს ელექტროტექნიკის, ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციული სისტემისა და მართვის, აგრეთვე სხვა საინჟინრო-ტექნიკური სპეციალობების ბაკალავრიატის სტუდენტებს ელექტროტექნიკური ტერმინოლოგია, საერთაშორისოდ მიღებული აღნიშვნები და სიმბოლოები, ძირითადი კანონები, ელექტრულ წრედებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების ანალიზისა და ანგარიშის მეთოდები.

სახელმძღვანელო შედგება თოთხმეტი თავის, მრავალრიცხოვანი ნახაზის, ცხრილისა და ოთხი დანართისაგან. იგი მოიცავს ინფორმაციას ელექტრული წრედის აქტიური და პასიური ელემენტების, მათი პარამეტრებისა და მახასიათებლების, ელექტრული წრედის კანონების შესახებ. მასში შესულია მუდმივი და ცვლადი დენების თეორია, მარტივი და რთული წრედების ანგარიშის მეთოდები, რხევითი კონტურების თეორია, სამფაზა დენის წრედების კლასიფიკაცია და ანგარიშის მეთოდები. სახელმძღვანელო შეიცავს აგრეთვე, არასინუსოიდური ცვლადი დენის წრედების თეორიას, გარდამავალი პროცესების ანგარიშის მეთოდებს, ოთხპოლუსების, გრძელი ხაზებისა და ფილტრების თეორიას. სახელმძღვანელოში გადმოცემული თეორიული მასალა ფართოდ არის ილუსტრირებული ძირითადად კომპიუტერის დახმარებით ამოხსნილი მაგალითებით. თითოეული თავის ბოლოს მოყვანილია ამოსახსნელი ამოცანები. ამდენად იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

სახელმძღვანელოს დანართებში მოყვანილია საცნობარო მასალა მათემატიკური ფორმულებისა და მატრიცული ალგებრის ელემენტების სახით. დანართები შეიცავს ინფორმაციას კომპიუტერული პროგრამების MATLAB-ის და PSpice-ის შესახებ. მათი გამოყენების ეფექტურობა ელექტრული წრედების თეორიაში, ილუსტრირებულია ამოხსნილი მაგალითებით. ეს მასალა საშუალებას იძლევა გაძლიერდეს კავშირი სახელმძღვანელოსა და ვირტუალურ ლაბორატორიულ ბაზას შორის ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შესასრულებლად კომპიუტერული ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა სახელმძღვანელო გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სრულად ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიის – დისტანციური სწავლების პროცესში.

შემოთავაზებულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ელექტრული წრედების თეორიის კურსის სწავლების მრავალწლიანი მდიდარი გამოცდილება. იგი სრულად შეესაბამება ელექტრული წრედების თეორიის საგნის სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლითაც ძირითადი პრიორიტეტი ბაკალავრიატში სწავლების ეტაპზე ფუნდამენტური ბაზისური განათლების მქონე ფართო პროფილის ბაკალავრების მომზადებას ენიჭება. ის დიდ სამსახურს გაუწევს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებსაც, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო სისტემებში დასაქმებულ საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალსა და საპროექტო – საკონსტრუქტორო ფირმებს სისტემის ოპერატიულ მართვასა და ქსელების პროექტირებასა და გაანგარიშებაში.

საგულისხმოა სააქციო საზოგადოების „საქრუსენერგოს“ მხარდაჭერა, რამაც განაპირობა მშობლიურ ენაზე ამ მეტად საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელოს გამოცემა.

**პეტრე მერაბიშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**დემი ლაოშვილი,**
**ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

## დედამიწის რეკორდები

# ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... დიდი...

### ყველაზე დიდი ბუნებრივი ნაგებობა

**დიდი ბარიერული რიფი ითვლება ყველაზე დიდ ბუნებრივ ნაგებობად დედამიწაზე.**



მის შემადგენლობაშია 3 ათასზე მეტი რიფი. ის ავსტრალიის სანაპიროს 2 300 კილომეტრზე მიჰყვება.

დიდი ბარიერული რიფი საცხოვრებლად აურჩევია თევზების 1500 სახეობას, მოლუსკების 4 ათას სახეობას და ფრინველთა 200-ზე მეტ სახეობას.

### ყველაზე ღრმა ფიორდები და კანიონები

**ლექსიკონებში ფიორდი ახსნილია, როგორც „ვიწრო, დაკლაკნილი და ღრმა, ხმელეთში შეჭრილი ზღვის სრუტე კლდოვანი ნაპირებით“.**

ფიორდებს შორის ჩემპიონი, შეიძლება ითქვას, ორგზის ჩემპიონია გრენლანდიური სკორესბი – სანდი. ჯერ ერთი, ის ყველაზე გრძელია დედამიწაზე (350 კმ), მეორეც – ყველაზე ღრმაა (1500 მეტრი).

* * *

**კანიონი სულ სხვა საქმეა. ის, მდინარის ღრმა ველია, ძალზე ციცაბო, ფრიალო ფერდობებით და ვიწრო ფსკერით, ჩვეულებრივად მუდამ სავსე კალაპოტით, ამიტომ აქ მასშტაბები სერიოზულია.**

მსოფლიოში ყველაზე ღრმა კანიონად ითვლება კანიონი კოლკა პერუში – 3 400 მეტრი. ის ორჯერ უფრო ღრმაა ცნობილ დიდ კანიონზე (აშშ), თანაც გამოსაყენებელია საცხოვრებლად და მიწათმოქმედებისთვის.

კოლკა ცნობილია სხვა სახელითაც – ინკების დაკარგული ველი, სასწაულების ველი, ცეცხლის ველი, არწივების ტერიტორია.

**უცხოური პრესის მიხედვით**



საქმე № 02-05-09

# განჩინება

## ელიტ არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

**ქ. თბილისი** **22 ივნისი 2009 წელი**

2009 წლის 22 მაისს ელიტ არბიტრაჟში პრეტენდენტ რომან გუნდაძის წარმომადგენელმა აკაკი სამხარაძემ აღძრა პრეტენზია მოპასუხის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ მიმართ.

დავის საგანს წარმოადგენდა ნოტარიუს ნ.გინტურის მიერ 2009 წლის 09 მარტს, (რეესტრის №1-2623) დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. კერძოდ პრეტენდენტმა მოითხოვა დაეკისროს მოპასუხე **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგებ“-ს** 29 050 (ოცდა ცხრა ათას ნოლ ორმოცდაათი). აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით, ასევე პირგასამტეხლო 2009 წლის 9 მაისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,03 %-ის ოდენობით გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 2009 წლის 09 მარტის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას პრეტენდენტის მიერ გადახდილი სანოტარო მოსაკრებლის საზღაური 1784 (ათას შვიდას ოთხმოცდაორი) ლარი, საადვოკატო მომსახურების 1000 (ათასი) ლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 737 (შვიდას ოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდა. აღნიშნუილი **მოთხოვნის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული ქონების (იპოთეკის) საგნის, რომლის რეკვიზიტებია, სარეგისტრაციო ზონა-თბილისი, კოდი-01, სექტორი-ვაკე, კოდი-14, კვარტალი-06, ნაკვეთი 07/020, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია; არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2323.00 კვბ.მ, ნაკვეთის წინა №7, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებული შენობა ნაგებობები №2, №3 და №4. იძულებითი რეალიზაცია აუქციონზე.**

აღნიშნული სამოქალაქო საქმე წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის საგანს თანახმად მხარეებს შორის 2009 წლის 09 მარტს გაფორმებული სანოტარო ხელშეკრულების (რეესტრის №1-2623) მე-6 მუხლის პირველ პუნქტში გაკეთებული საარბიტრაჟო დათქმისა, რომელიც ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ელიტ არბიტრაჟის თავჯდომარის 2009 წლის 22 მაისის განკარგულებით პრეტენდენტ რომან გუნდაძის წარმომადგენლის აკაკი სამხარაძის პრეტენზია მიღებულ იქნა წარმოებაში. საარბიტრაჟო სხდომა დანიშნული იყო 2009 წლის 09 ივნისს 16.00 საათზე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ ელიტ არბიტრაჟის დებულების 6.1. მუხლის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნათ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება.

2009 წლის 09 ივნისს 16 საათზე სხდომაზე გამოცხადდა პრეტენდენტ რომან გუნდაძის წარმომადგენლი აკაკი სამხარაძე. მოპასუხე სხდომაზე არ გამოცხადდა.

2009 წლის 09 ივნისის დადგენილებით, საარბიტრაჟო სხდომა გადაიდო და ხელმეორედ გაეგზავნა მოპასუხეს საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება, ელიტ არბიტრაჟის დებულების 6.8 მუხლის საფუძველზე.

სხდომა დანიშნული იქნა 2009 წლის 22 ივნისს 12.00 საათზე.

საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მოპასუხეს არ ჩაბარდა, მიზეზი უცნობია. მოპასუხე საარბიტრაჟო სხდომაზე არ გამოცხადდა.

პრედენდენტი შუამდგომლობს არბიტრაჟის წინაშე საარბიტრაჟო სხდომის გადადების და საჯარო შეტყობინების შესახებ ელიტ არბიტრაჟის დებულების მე-6 მუხლის 6.8 პუნქტის საფუძველზე.

**სამოტივაციო ნაწილი**

არბიტრმა განვიხილე პრეტენდენტის მოთხოვნა და შუამდგომლობა, შევამოწმე მისი საფუძვლიანობა და მიმაჩნია, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო;

2009 წლის 09 ივნისის დადგენილებით, საარბიტრაჟო სხდომა გადაიდო და ხელმეორედ გაეგზავნა მოპასუხეს საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება, ელიტ არბიტრაჟის დებულების 6.8 მუხლის საფუძველზე.

სხდომა დანიშნული იყო 2009 წლის 22 ივნისს 12.00 საათზე.

საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მოპასუხეს არ ჩაბარდა, მიზეზი უცნობია. მოპასუხე საარბიტრაჟო სხდომაზე არ გამოცხადდა.

ელიტ არბიტრაჟის დებულების მე-6 მუხლის 6.8 პუნქტის საფუძველზე „თუ ვერ ხერხდება შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება, ის დასაბარებელ პირს დამატებით ერთხელ მაინც უნდა გაეგზავნოს, თუ ამ წესის დაცვის მიუხედავად პრეტენდეტის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინება ვერ ჩაბარდა, დამატებით აუცილებელია შეტყობინების გამოქვეყნება იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც ვრცელდება მის საცხოვრებელ რაიონში (იურიდიულ მისამართზე). მხარე უფლებამოსილია, არბიტრაჟის განჩინების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება. შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს“

ვიხელმძღვანელე რა ელიტ არბიტრაჟის დებულების მე-6 მუხლის 6.8 პუნქტით,

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე**

1. პრეტენდენტის შუამდგომლობა საარბიტრაჟო სხდომის გადადებისა და საჯარო შეტყობინების შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. განხორციელდეს საჯარო შეტყობინება მოპასუხის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგების“ მიმართ.
3. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდეს საინფორმაციო საშუალებებში (გაზეთში), რომელიც ვრცელდება მოპასუხის იურიდიულ მისამართზე.
4. ეცნობოს მხარეებს, რომ საარბიტრაჟო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 14 ივლისს 12.00 საათზე.
5. დავის საგანს წარმოადგენს ნოტარიუს ნ.გინტურის მიერ 2009 წლის 09 მარტს, (რეესტრის №1-2623) დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. კერძოდ პრეტენდენტმა მოითხოვა დაეკისროს მოპასუხე **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „კაზა-ბაგებს“** 29 050 (ოცდა ცხრა ათას ნოლ ორმოცდაათი). აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით, ასევე პირგასამტეხლო 2009 წლის 9 მაისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,03 %-ს ოდენობით გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 2009 წლის 09 მარტის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას პრეტენდენტის მიერ გადახდილი სანოტარო მოსაკრებლის საზღაური 1784 (ათას შვიდას ოთხმოცდაორი) ლარი, საადვოკატო მომსახურების 1000 (ათასი) ლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 737 (შვიდას ოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდა. აღნიშნუილი **მოთხოვნის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული ქონების (იპოთეკის) საგნის, რომლის რეკვიზიტებია, სარეგისტრაციო ზონა-თბილისი, კოდი-01, სექტორი-ვაკე, კოდი-14, კვარტალი-06, ნაკვეთი 07/020, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია; არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2323.00 კვბ.მ, ნაკვეთის წინა №7, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებული შენობა ნაგებობები №2, №3 და №4. იძულებითი რეალიზაცია აუქციონზე.**
5. მოპასუხისათვის შეტყობინება ჩაბარებულად მიიჩნევა მისი გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
6. საჯარო შეტყობინების ხარჯებს გაიღებს პრეტენდენტი.

**ელიტ არბიტრაჟის არბიტრი დავით მიქაბერიძე**

### ცურვა

# „ლაგუნა ვერეს“ ცისფერ ბილიკზე



**საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ აუზში გუშინ დაიწყო მოცურავეთა საერთაშორისო ღია ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, გორის, რუსთავის, ბათუმის, საჩხერის, ჭიათურისა და ბაქოს 120-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს.**

ასპარეზობის პირველ დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **50 მ. გულაღმა ცურვა.** ანა ლომინაძე (თბილისიძ და ბორის კირილოვი (ბაქოძ, **100 მ. თავისუფალი ყაიდა.** ნატალია ფილინა (ბაქოძ და გიორგი ბუხრიკიძე (გორიძ, **200 მ. ბრასი.** ეკა კაჭახიძე და ბესო მდივანი (ორივე — თბილისიძ, **400 მ. თავისუფალი ყაიდა.** ირაკლი რევიშვილი (თბილისიძ. **400 მ. კომპლექსური ცურვა.** თემურ გულიევი (ბაქოძ. **ამანათცურვა.** ქალები. თბილისის I ნაკრები. ვაჟები. აზერბაიჯანის ნაკრები.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.



**სურათებზე: დისტანციაზე ირაკლი რევიშვილი; ამანათცურვაში გამარჯვებული თბილისის I ნაკრები: მარცხნიდან — ანა ლომინაძე, ეკა კაჭახიძე, მაია ხრიკული და ნასტია გრივაჩი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

### სენსაცია

# დაიმახსოვრეთ: აშშ!



**ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა პირველი დიდი სენსაცია შორეულ 1930 წელს „გამოაცხო“, როცა ურუგვაიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთის სამშობლოს — ინგლისის წარმომადგენლები დაამარცხა — 1:0.**

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. 1998 წელს სოკერით სერიოზულად გატაცებულმა ზესახელმწიფომ უმაღლესი დონის ფორუმსაც უმასპინძლა. იყო ლოკალური წარმატებებიც, მაგრამ ისეთზე, როგორსაც ბილ ბრედლის შეგირდებმა სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე მიმდინარე კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალში მიაღწიეს, ალბათ, კიდევ კარგა ხნის განმავლობაში ვერ იოცნებებენ.

**აშშ — ესპანეთი 2:0 (1:0ძ**

**გოლები:** ალტიდორი (27-ე წთძ, დემპსი (74-ე წთძ.

ევროპის ჩემპიონებმა შარშანდელი ტრიუმფი 35-მატჩიანი წაუგებელი სერიითა და ზედიზედ 15 გამარჯვებით შეკმაზეს, თუმცა, როგორც ყველაფერს ამქვეყნიურს, აღნიშნულ სარეკორდო სვლასაც დაესვა წერტილი.

ზოგს მიაჩნია, რომ ვისენტე დელ ბოსკეს ზღაპრული გუნდის მოულოდნელი ჩავარდნის ძირითადი მიზეზი ტრავმირებული ინდივიდუალისტის ინიესტასა და საყრდენი ნახევარმცველის მარკოს სენას არყოფნაა. არც უმაგისობაა, მაგრამ თუ ყველაფერს ამ არგუმენტს დავაბრალებთ, დაუმსახურებლად დავაკნინებთ ოკეანისგაღმელთა მოგების საფუძვლიანობას. დიახ, მათ მრისხანე მეტოქეს, უპირველესად, გამართული ტაქტიკით აჯობეს, ეს კი, დაგვეთანხმებით, ფინალშიც გაზრდის დონოვანისა და კომპანიის ამბიციებს.

**გიორგი შოთაძე**

### ჩოგბურთი

# ჭაბუკთა საევროპო მარშრუტები

**საქართველოს ახალგაზრდა ჩოგბურთელები წლეულს რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში იასპარეზებენ. 20-26 ივლისს ჩეხეთი სხვადასხვა ასაკში ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ ტურნირზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ლიზა ნადიბაიძე, თამარ ჭალაგანიძე, მიხეილ ხმიადაშვილი, შოთა მეფარიძე (14-წლიანებშიძ, ბაბილინა მაჩაიძე, ნინო სუჯაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ციბაძე (16-წლიანებშიძ და ეკა გორგოძე (18-წლიანებშიძ.**



შეგახსენებთ, რომ გორგოძემ შარშანწინ ბელგრადში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე გიორგი ხმიადაშვილთან ერთად შერეულ წყვილებში ჩემპიონობა მოიპოვა, ერთეულთა თანრიგში კი ვერცხლის მედალი ერგო. წლეულს მსგავს შეჯიბრებაზე, რომელიც ფინურ ტამპერეში გაიმართება, ჯილდოებისთვის ბარბარე ერისთავი, ანი გოგვაძე, ნიკა დოლიძე და სანდრო დავლიანიძე იბრძოლებენ. ზემოაღნიშნულ ჩოგბურთელთა უმრავლესობამ ამას წინათ „ავსტრიის ავიახაზების თასზე“ იასპარეზა, ამჟამად ისინი „დინამოს“ კორტებზე რენას და დასოს მემორიალში მონაწილეობდნენ, რაც მათ საშეჯიბრო გამოცდილების ამაღლებაში დაეხმარება.

**ლექსო ცინცაძე**

### მემორიალი

# მეცხრედ — „ირაოზე“



**სასპორტო კომპლექს „ირაოზე“ გუშინ დაიწყო და პირველ ივლისს დამთავრდება ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ზაზა დარასელის მე-9 მემორიალური ტურნირი მინიფეხბურთში.** მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში ტელევიზიებისა და პრესის წარმომადგენელთა 12 გუნდი ჩაება, რომლებიც ასპარეზობის ორგანიზატორებმა ოთხ სამ-სამგუნდიან ჯგუფში გაანაწილეს. ტურნირის პირველ დღეს „აფხაზეთმა“ „ოლიმპს“ 5:2 მოუგო, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ „ჯორჯია თუდეის“ სძლია 4:3, „მზემ“ „ალანია“ დაამარცხა 6:1, ხოლო „მე-2 არხი“ და „ერთსულოვნება“ დაზავდნენ — 4:4.

დღეს მეორე ტურის მატჩები გაიმართება.

**სურათზე: „მე-2 არხისა“ და „ერთსულოვნების“ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

### ხელბურთი

# „შევარდენის“ დაშლით „თბილისმა“ იხეირა



**წლების განმავლობაში საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატების უპირობო ფავორიტი და გამარჯვებული გახლდათ „შევარდენი“, რომელმაც უსახსრობის გამო წლევანდელ პირველობაში ვერ იასპარეზა.** ოქროს მედლები პირველად მოიპოვა „თბილისმა“ (ანდრიაძე, თევზაძე, ჯიშკარიანი, ქარდავა, კალანდაძე, წივწივაძე, სამარღანაშვილი, ღაღანიძე, ყაველაშვილი, მაისურაძე, გელაშვილი, ქუთათელაძე, მწვრთნელი ტიტე კალანდაძეძ, ფინალში მან ორი შეხვედრა მოუგო (34:25, 34:14ძ „შევარდენის“ მოთამაშეებით გაძლიერებულ „ქარიშხალას“. მესამე ადგილზე ცხინვალის „სპარტაკის“ მძლეველი (31:27, 31:28) „სამტრედია“ გავიდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს. საუკეთესო მოთამაშის პრიზი ლევან გელაშვილს (თბილისიძ, ხოლო მეკარისა — გიგა ტორონჯაძეს („ქარიშხალა“ძ გადაეცა.

**გიორგი გაგუა**

### ინტერნეტიდან

## განხეთქილება მოგვარებულია

**პარიზში გაიმართა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIAძ პრეზიდენტის მაქს მოსლისა და „ფორმულა-1“-ის გუნდების ასოციაციის (FOTAძ წარმომადგენლების მომავალ „სამეფო რბოლებში“ არსებული უთანხმოებისადმი მიძღვნილი მორიგი შეხვედრა. როგორც შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოსლიმ განაცხადა, მხარეები კომპრომისამდე მივიდნენ, განხეთქილებისა და ალტერნატიული რბოლის შექმნის საშიშროებამ ჩაიარა.**

მისი თქმით, რვა გუნდი ძალზე უკმაყოფილო რომ იყო 2010 წლის ჩემპიონატის რეგლამენტით, დათანხმდა თავიანთი ბიუჯეტის შემცირებაზე.





როგორც იტყობინებიან, კომპრომისის ერთ-ერთი პირობა გახდა მოსლის უარი პრეზიდენტის მომავალ (ოქტომბრისძ არჩევნებში მონაწილეობაზე.

„მე ძალზე კმაყოფილი ვარ, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვა“, — აღნიშნა „ფორმულა-1“-ის ბოსმა ბერნი ეკლსტოუნმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას რვა გუნდმა („ფერარი“, „მაკლარენი“, „BMW-ზაუბერი“, „რენო“, „ტოიოტა“, „რედ ბული“, „ტორო როსო“ და „ბრაიენი“ძ განაცხადა თავის განზრახვაზე ალტერნატიული სერიის შექმნის შესახებ, თუკი ავტოსპორტის ფედერაციასთან მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებდა.

## ისინბაევამ დოლში გაიმარჯვა



**დიდი იმედების მომცემმა სამწლიანმა ულაყმა, ისინბაევა რომ დაურქმევია თავისი ცხენისთვის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და 26-გზის მსოფლიო რეკორდსმენის ელენა ისინბაევას საპატივცემოდ ახალზელანდიელ დოლის ცხენების მომთვინიერებელ ბრიუს სტერლინგს, გაიმარჯვა ედინგტონში თავის პირველ დოლში.**

„პეკინში რუსეთელმა სპორტსმენმა ქალმა გამოავლინა სულის სიძლიერე და მოითხოვა ლარტყის მსოფლიო რეკორდის სიმაღლეზე დაყენება. ის არ აღელვებულა და გაიმარჯვა! ლორენს ხანრეხანმა, ჩემი ულაყის მწვრთნელმა, მირჩია ახალგაზრდა ცხენისთვის ლამაზი სახელის დარქმევა, რაც მას სრულიად განსაკუთრებულად მოეჩვენა. ამიტომ, ოლიმპიადა რომ ვნახე, მაშინვე გადავწყვიტე ულაყისთვის ისინბაევა დამერქმია“, — განუცხადა ჟურნალისტებს სტერლინგმა.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა სადოლე ცხენებს ცნობილი სპორტსმენების სახელს არქმევენ. მიმდინარე სეზონში ალბათ იპოდრომზე გამოვა ულაყი ჩაკვეტაძე, ის წარმოშობით ავსტრალიური ტუვუმბადანაა. ცხენის პატრონმა, დოქტორმა ჯონ ჰუპერმა თავის საყვარელ ცხოველს ჩოგბურთელ ანა ჩაკვეტაძის სახელი დაარქვა.

## ნორჩ პატიმრებთან მეგობრობს

**9-დან 13 წლამდე ასაკის 380-ზე მეტი ბავშვი დაესწრო თეატრალურ სანახაობას ერთ-ერთ იტალიურ ციხეში. მილანის ორი სკოლის მოსწავლეები აკვირდებოდნენ, თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დაპატიმრებული 30 პატიმარი როგორ წარმოადგენდა პიესას „კაპიტანი ნემო“.**

ამ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ფრანცესკა რევას სახელობის ბავშვთა ფონდი, ორგანიზაცია, რომლის წარმომადგენლებს შორის იყო პოპულარული ტელეწამყვანი მარტინა კოლომბარი, ფეხბურთელ ალესანდრო კოსტაკურტას ცოლი, რომელიც უპატრონო ბავშვებს ეხმარება მარტო იტალიაში კი არა, არამედ მთელს მსოფლიოში.

ციხის დირექტორის თქმით, „გარე სამყაროსთან კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პატიმრებისთვის, რადგან საშუალება ეძლევათ, შეინარჩუნონ გარე სამყაროსთან რეალობის გრძნობა და ვირტუალურად გასცდნენ ციხის ღობურებს“.



◎ თვალის ერთი გადავლებით

# სახედარი — ევროპული სიღნაღის სიმბოლო

**ივნისის ერთ მზიან დღეს ვიფიქრე, დავისვენებ, თბილისის ხმაურს რამდენიმე საათით გავერიდები და თავს სიღნაღს, ე. წ. „სიყვარულის ქალაქს“ შევაფარებ-მეთქი.**

ქვებით მოკირწყლულ, ძველ პატარა ქალაქს შეღებილი ფასადები და ზედაპირული რესტავრაცია ამშვენებს. ერეკლეს, ბარათაშვილის, კოსტავას, ქეთევან წამებულის, სარაჯიშვილის, 9 აპრილის და ვაჟა-ფშაველას ქუჩებს ახლა პოპულის მაღაზიები, სასტუმრო კომპლექსები, ქორწინების სახლი და ტურისტებისთვის მოწყობილი შენობები ალამაზებს. უმალ თვალში საცემია პოლიციის შენობა, რომლის გაგრძელებაც პარალელურ ქუჩაზე ნაციონალური მოძრაობის ოფისით მთავრდება. ყოველი ქუჩის დასაწყისსა და ბოლოში აფთიაქები და სუპერმარკეტებია, „თითქოს სიის მიხედვით“ განულაგებიათო...

ამ ყველაფრით მოხიბლულ სიღნაღელ ნატა ჯალარაშვილს რომ ჰკითხოთ, რომელმაც სახლის რემონტი ექვსი წლის განმავლობაში ვერ დაასრულა, მადლობა ღმერთს, მის ბედზე ნაციონალური მოძრაობა გამოჩნდა და ქალბატონს ოცნება აუსრულა. ახლა ამ გარემონტებულ სახლში სასტუმროს ტიპის კომპლექსი მოუწყვია და ტურისტებზე აქირავებს, „პურს ამით ვჭამო“... ხელისუფლებაზე შეყვარებულმა ქალბატონმა ხმის ტემბრს აუწია და რი გაკეთებულია და ნახევარი ისევ ისეა, როგორც უწინ იყო, ან იმაზე უარესად. ასასვლელში აუტანელი ანტისანიტარიაა, მოსახლეობას დანგრეული გზის გამო უჭირს გარეთ გამოსვლა. გაფუჭებულ ქუჩებზე ცუდმა ამინდმაც იმოქმედა და სარაჯიშვილის და ვაჟა-ფშაველას ქუჩების გადაკვეთაზე დიდი რაოდენობით ნაგავს მოუყარა თავი, რაც ტალახის გროვას ჰგავდა და ასეთ ლამაზ ქალაქში დისონანსი შეჰქონდა. ნადირაშვილის თქმით, მათ სიღნაღის გამგეობისთვისაც მიუმართავთ, მაგრამ უშედეგოდ. მან საუბრისას ახსენა, რომ სიღნაღში ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ჩასულა, თუმცა, „ყველაფრის მთქმელმა“ ტელევიზიამ მწარე რეალობაზე თვალი დახუჭა და საცოდავ სიღნაღელებს იმედი გაუცრუა. მოსახლეობა საინფორმაციო გამოშვებებში რამდენიმე დღე ამაოდ ელოდა მათი გულისტკივილის ამსახველი სიუჟეტის ეთერში გასვლას.

დაბოლოს, სიღნაღი ორად გახლეჩილ ქალაქად წარმოუდგება დამთვალიერებელს. სიღნაღის ნახვის შემდეგ დამთვალიერებელს შეიძლება გადაავიწყდეს, რომ კახეთის შუაგულში იმყოფება, მაგრამ ქალაქის გასასვლელში კახელების სიამაყესაც მოჰკრავს თვალს, ხიდზე სახედრის ქანდაკება ისე დაუდგამთ, თითქოს იხტიბარს არ იტეხს და ყველას თავისთან ეპატიჟებაო. და მაინც



ოპოზიციის უარყოფითი მხარეები ჩამოარაკრაკა. მაგრამ კითხვებს თავი აარიდა და ქვაფენილიან ვიწრო ქუჩებს იმ იმედით დაუყვა, რომ სახლს თუ რამე დაუზიანდება, აუცილებლად შეაკეთებენ. ნაციონალური მოძრაობის მომხრეა და მათზე უკეთესი ხელისუფლებაში ვერ წარმოუდგენია.

ვერ ვიტყვი, ოპოზიციის მომხრეაო, მაგრამ ხელისუფლებაზე განაწყენებული სიღნაღის მკვიდრი სათქმელს არ მალავს. სარაჯიშვილის №14-ში მცხოვრები სერგო ნადირაშვილი ამავე ქუჩის რეკონსტრუქციას მოითხოვს. ქუჩა ორად არის გაყოფილი, ნახევა-

გირჩევთ, რომ აუცილებლად გადაიღოთ ხიდზე მდგომი სახედართან ერთი თუნდაც სამახსოვრო სურათი. კახელებისთვის — სახედარი, ჩვენთვის — ფოტოები, მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებს „ევროპული სიღნაღი“ ტურისტების სიმრავლეს, ამას დრო გვიჩვენებს. ამჟამად კი დამთვალიერებლებს გუნება-განწყობას არ წავუხდენ და სიყვარულის საპოვნელად ჩასულებს ვუსურვებ, რომ ფართოდ გახელილი თვალებით დაათვალიერონ „მართლაც რომ სიყვარულის ქალაქი“...

**ხატია მუსერიძე**

◎ პრეზენტაცია

# მედია და ნარკომანიის პრობლემების გაშუქება

**ნარკომანიის პრობლემა მთელს მსოფლიოს აწუხებს. გამონაკლისი არც საქართველოა. ჩვენს ქვეყანაში, არაოფიციალური მონაცემებით, 200 ათასი ნარკომანია. ამ რიცხვს ნარკოლოგები არ ეთანხმებიან, რადგან მასში ის ადამიანებიც მოიაზრებიან, რომელთაც ერთხელ მაინც გაუსინჯავს ნარკოტიკი. ასეა თუ ისე, მსგავსი მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, 20 ათასიც კი უზარმაზარი რიცხვი იქნებოდა.**

26 ივნისსი ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა და ის ყოველ წელიწადს სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება. წელს ამ თარიღთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელიც მიეძღვნა ქართულ მედიასივრცეში ნარკომანიის საკითხების გაშუქებას.

უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გაერო სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამას ახორციელებს. სწორედ მისი ინიციატივით გაიმართა ჟურნალისტებთან შეხვედრა და პროგრამის ფარგლებში გამოცემული ახალი სახელმძღვანელოს „მედია და ნარკომანიის პრობლემების გაშუქება“ პრეზენტაცია.

სახელმძღვანელოში გაეროსა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე ნარკომანიის პრობლემების გაშუქების ეთიკური პრინციპებია გადმოცემული. კერძოდ, წიგნში აღნიშნულია, რომ არ არის რეკომენდებული, ვაჩვენოთ საინექციო საშუალებები, ან მომზადების ტექნოლოგია, ან გამოყენების პროცესი ნარკოტიკის პრობლემის გაშუქებისას. არ უნდა გამოვიყენოთ უზუსტო ტერმინოლოგია, როგორიცაა, მაგალითად, ნარკოტიკების დაყოფა „მსუბუქად“ და „მძიმედ“. არ არის რეკომენდებული, გავავრცელოთ ინფორმაცია წარმატებული ან სახელგანთქმული პირების მიერ ნარკოტიკების მოხმარებაზე, თუნდაც ეს პირები უკვე განთავისუფლდნენ ნარკოდამოკიდებულებისაგან. სახელმძღვანელოში სულ 9 საკვანძო პრინციპია გადმოცემული და დასაბუთებულია თითოეული მათგანის მიღმა არსებული არგუმენტები, რომელიც „არ ავნო“ პრინციპს ეფუძნება.




შეხვედრა ჟურნალისტებსა და სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ექსპერტებს შორის დიალოგის რეჟიმში წარიმართა. აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტებისთვის მასალის მომზადებისას სრული ინფორმაციის მოპოვების პრობლემაა. ამ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა იძლეოდეს, რაც ხშირად შეუძლებელია. ამის გარდა, დგას უსაფრთხოების სერიოზული პრობლემა, რადგან საკითხის ძიებისას შეიძლება ისეთ ფაქტებს წააწყდე, რომელთა გახმაურება ზემდგომ ორგანოებში ხელს არ აძლევდეთ. ეს მიზეზები განაპირობებს მედიაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებას არასწორი ფორმით.

რაც შეეხება ეთიკურ საკითხებს, ის უმეტესწილად ნამდვილად ირღვევა და ჟურნალისტთა არაპროფესიონალიზმს ცხადყოფს. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ პრობლემები ორივე მხარეს აქვს და მათს გადაწყვეტა მსგავსი შეხვედრებიც შეუწყობს ხელს. უნდა გაიზარდოს ჟურნალისტთა ცოდნა ამ სფეროში და სისტემა ინფორმაციის მოპოვების სისტემაც უფრო გახსნილი გახდეს.

**ჯანა ჯავახიშვილი, სახელმძღვანელოს ავტორი, ნარკოლოგი:**

— ეს შეხვედრა ორივე მხარისთვის სასარგებლოდ წარიმართა. ჩვენ გავიგეთ, რა პრობლემებს აწყდებიან ჟურნალისტები ნარკომანიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას და ჩვენი მხრიდან შევთავაზეთ რეკომენდაციები, გავუზიარეთ გამოცდილება. სახელმძღვანელო, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა, საკმაო ინფორმაციას და რჩევებს შეიცავს. იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და შედეგიც შესაბამისი იქნება.

**ანა წიწილაშვილი**

**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-3 სართულზე 1000 მ²-ზე. საწყისი საიჯარო ქირა 1 მ²-ზე შეადგენს 4 (ოთხიძ ლარს დღგ-ს და კომუნალური გადასახადების დამატებით.**

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 14 ივლისს 12 საათზე ჯიქიას ქ. №10-ში.

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 13 ივლისი. საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.

**საწარმოს დირექცია**

ვიმუშავებ ოჯახში ბავშვების მომვლელად. შევასრულებ ნებისმიერ საოჯახო საქმეს. დავალაგებ ოფისს.

მაქვს შესაბამისი გამოცდილება.

**საკონტაქტო ტელეფონი:**
51 64 43
8 58 206 216 მანანა.

ვაქირავებ კეთილმოწყობილ ბინას სურამში („ბენზინ კალონკასთან“ძ ტალახაძის ქ. №29. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 8 268 4-88-70 ნუნუ.**

**შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“, შპს სისტემ-ნეტის“, შპს „ფოპტნეტის“ დირექტორატი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, მაღალი დონის პროფესიონალი და შესანიშნავი პიროვნება**

გივი რუსაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

## დააკავეს მეზაჟეები

**შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო — ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა სამსახურეობრივი გულგრილობის ფაქტზე დააკავეს ფოთისა და ყულევის პორტების მეზაჟეები: გოდერძი ქართველიშვილი, სერგო ტულუში და ლევან ხელაია, რომლებმაც ფოთის პორტში თბომავლით შემოსული „მერსედესის“ მარკის სატვირთო ავტომანქანაზე დატვირთული მეორადი მოხმარების საბურავები, მაცივრები, აკუმულატორები, ხალიჩები და სხვა ნივთები არ განაბაჟეს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.**

**წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე და 342-ე მუხლით მიმდინარეობს, რომლებიც შესაბამისად შვიდ წლამდე და სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

ХО-ЕОВ-ЕНО

◎ მხარე

# ბუნების საოცრება და მისი დაცული ტერიტორიები

**დედოფლისწყაროს რაიონულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ბუნების საოცრებებს და მის დაცულ ტერიტორიებს. საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრი, რომელიც 1994 წლიდან არსებობს, აქტიურად მოღვაწეობს ფლორისა და ფაუნის შესწავლისა და დაცვის საქმეში.**

კახეთი ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული და ეთნოგრაფიული რეგიონია. 1959 წელს ტარიბანას ველზე აღმოაჩინეს სპილოს ჩონჩხი, რომელიც დაახლოებით 2 მილიონი წლისაა, ხოლო ძვ. წ. აღ. III საუკუნეში დამზადებული ლომის მინიატიურული ქანდაკება საქართველოში დღემდე ნაპოვნ ოქროს ნივთთა შორის ერთ-ერთი უძველესია.

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინათ იწყება. XII საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. 500 წლის შემდეგ კი ვახტანგ მეექვსემ გამოსცა „კანონთა კრებული“. მასში მოხსენიებულია ყურულის ტერიტორია, როგორც დაცვის ობიექტი...

...ბიბლიოთეკაში გამოფენა შეივსო საინტერესო წიგნებით — „ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებები“, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სამარშრუტო გზა“, „ბორჯომ-ხარაგაულის და მტირალას ეროვნული პარკი“. ბიბლიოთეკას 12 სხვადასხვა დასახელების წიგნი საჩუქრად გადასცა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ (დირექტორი პაატა ხუმარაშვილიძ.

გამოფენაზე მკითხველები გაეცნენ და დაათვალიერეს ლაგოდეხის ნაკრძალის, მთლიანად საქართველოს და, კერძოდ, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საველე მეგზურები. აქვე წარმოდგენილი გახლდათ აღმოსავლეთ საქართველოს ფრინველების საველე ნარკვევი, რომელშიც 131 სახეობის ფრინველთა ფერადი ფოტოებია შესული. მეტად საინტერესოა საქართველოს ფლორის 125 სახეობის ბოტანიკური დახასიათება.

გამოფენა ორ თვეს გასტანს.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

სულიერება

# ძირით — ქართველი, საქმით — უზადლო

## 26 ივნისი წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეა



**წმინდა ანთიმოზ ივერიელი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, იცოდა მრავალი უცხო ენა, გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიაში, ლიტერატურასა და ბუნებისმეტყველებაში. ის ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების მრავალ დარგს: მხატვრობას, გრავირებას, მოჩუქურთმებას, ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, დახელოვნებული ხეზე მჭრელი და ნიჭიერი მოქანდაკე.**

აღსანიშნავია, რომ ეს ქართველი ადამიანი რუმინული სალიტერატურო ენის რეფორმატორად ითვლება და სიცოცხლე შესწირა მეორე სამშობლოდ ქცეულ ვლახეთის (რუმინეთის) თურქთა ულლისგან განთავისუფლებას.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და ეხმარებოდა მას ქართული სტამბის შექმნაში.

საქართველოდან გადახვეწილმა ქართველმა ოსტატმა, რომელიც ყველგან და ყველაფერში ხაზს უსვამდა თავის ქართულ წარმომავლობას და აღნიშნავდა, რომ „ძირით ქართველი" იყო, შეძლო გადაექცია ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად.

აღსანიშნავია ანთიმოზ ივერიელის ღვაწლი, რაც მან ბუქარესტელებისთვის გააკეთა: „ყოველთა წმიდათა მონასტერი" ქალაქის ცენტრში შექმნა. და ამით საქართველოდან ჩასული სტუმრებისთვის წმინდა ადგილი დაამკვიდრა.

რუმინელი ხალხის ერთგული მიტროპოლიტი ანთიმოზ ივერიელი თურქმა ჯარისკაცებმა მდინარე დუღჩიას ნაპირზე სიცოცხლეს გამოასალმეს.

1992 წელს, ანთიმოზ ივერიელი, რომელიც ვლახელი ხალხის სულიერი გაძლიერებისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისთვის იბრძოდა, წმინდანად შერაცხეს.

**გიული ლიპარტია**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელ: 99-62-77.

ჯანმრთელობა

## ენების ცოდნა სიცოცხლეს ახანგრძლივებს?



**უცხო ენების შესწავლა ახანგრძლივებს სიცოცხლეს — გამოკვლევამ, დიდ ბრიტანეთში რომ მოაწყეს, აჩვენა, რომ საშუალო ასაკზე უფროსი პირები, უცხო ენებს რომ სწავლობენ, ბევრი ფსიქო-ფიზიკური მაჩვენებლებით სჯობნიან თავიანთ თანატოლებს.**

როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ამის მიზეზი რამდენიმეა: ჯერ ერთი, სწავლა ავითარებს ჭკუასა და აზროვნების მოქნილობას, მეორე კი: ახალი ცოდნა აღვიძებს ინტერესს სხვა ქვეყნებში ცხოვრებისადმი, რაც შესასწავლი ენის უშუალო მფლობელებთან ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა, ეს კეთილმყოფლურად მოქმედებს საერთო თვითგანწყობაზე.

## ხორცშია ლამაზი თმების საიდუმლო?



**ყოველ შემთხვევაში ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, ბევრი გამოკვლევა რომ ჩაატარეს კეთილსასურველი მემკვიდრეობითობისა და ხორციანი დიეტის შეერთებაზე.**

მათი თქმით, ძროხისა და ცხვრის ხორცი შეიცავს იმ მიკროელემენტების უნიკალურ ნაკრებს, რომლებიც არსად არ გვხვდება ასეთ დაბალანსებულ შეკავშირებაში. ფარმაკოლოგებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს ამ კომპლექსის მოაზრება ვიტამინებსა და საკვებ დანამატებში.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თმების პრობლემა არ გაჩნიათ არა მარტო იმ ადამიანებს, ვინც ხორციან დიეტას იცავს, არამედ იმათაც, ვინც ყოველდღე ჭამს ახალ ბოსტნეულსა და ხილს.

## გრიპს სოკოც პკურნავს



**ეს ამერიკელი მკვლევარების მიგნებაა ტიფტსის უნივერსიტეტიდან (მასაჩუსეტის შტატი) — გრიპის პროფილაქტიკის საშუალებად, შეიძლება, გამოვიყენოთ ჩვეულებრივი სოკო.**

მათ მიერ მოწყობილმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სოკოებს გააჩნიათ გასაოცარი უნარი — მასობრივად გაანადგურონ ვირუსები და ავადმყოფობაგამომწვევი ბაქტერიები. ამასთან ერთად ისინი ამაგრებენ ადამიანის იმუნურ სისტემას.

მაინც რაში მდგომარეობს ასეთი სამკურნალო ძალის მიზეზი? პასუხი მარტივია: სოკო ააქტიურებს ციტოკინების მუშაობას — პროტეინებისას, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ვირუსებიდან ორგანიზმის დაცვაში.

## ნაყინი და ანგინა

**ანგინა ყველაზე გავრცელებული საზაფხულო დაავადებაა. სიცხეში ნაყინის, ცივი სასმელების გამოყენებაც ძალზე არასასურველად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ამიტომ ამას უნდა ვერიდოთ, მაგრამ თუ მაინც დავსნეულდით, მალე როგორ გამოვჯანმრთელდეთ? ანგინას იწვევს ჩირქმბადი ჯგუფის მიკრობები, ძირითადად სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები. დაავადებისკენ გვიბიძგებს აგრეთვე საერთო და ადგილობრივი გადამეტცივება. ამ დროს სხეულის ტემპერატურა მაღლდება უმნიშვნელოდ, შესაძლოა იყოს შეციებაც.**



ანგინის სამკურნალოდ აუცილებელია მკაცრის სალოგინე რეჟიმის დაცვა. აუცილებელია უხვი თბილი სასმელი — ჩაი ლიმონით, მორსი, ხილის კისელი, წვენები დღეში 1-1,5 ლიტრი, ვიტამინებით სავსე რძე, მცენარეული დიეტა, განსაკუთრებით C და B ვიტამინები. მიიღეთ ანტიბიოტიკები, მიუხედავად მათი უარყოფითი მოქმედებისა. უამისოდ მორჩენა მაინც ძნელია. ყველაზე მნიშვნელოვანია პირში გამოვლება. ჯერჯერობით უფრო ეფექტური მედიცინას არაფერი გამოუგონია. ჭიქაში ჩაასხით თბილი (ცოტა ცხელიც კი) წყალი. ჩაყარეთ თითო ჩაის კოვზი სოდა და მარილი, დაასხით 5 წვეთი იოდი. ანგინის ნიშნებით ხშირად სხვა, უფრო სერიოზული დაავადებებიც ვითარდება.

## ართრიტი გაწუხებთ? ღრძილებს მიხედეთ



**ადამიანები, ართრიტი რომ აწუხებთ, ხშირად ღრძილების ანთებით იტანჯებიან — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სწავლულები, საკმაოდ ბევრი გამოკვლევა რომ მოაწყეს.**

ექსპერტების განცხადებით, პაციენტებმა, ღრძილების ანთებას რომ მკურნალობდნენ, კბილებიდან ქვებს იშორებდნენ და პირის ღრუს ჰიგიენას იუმჯობესებდნენ, თანდათან იგრძნეს, რომ შეუმცირდათ ართრიტის სიმპტომებიც.

საუკეთესო მკურნალობაა, აღნიშნავენ სპეციალისტები, პირის ღრუს სათანადო მოვლა ართრიტის სამკურნალო პრეპარატების მიღების კომბინაციაში. მკვლევარები დაბეჯითებით ურჩევენ ართრიტით დაავადებულ ადამიანებს, დიდი ყურადღება დაუთმონ პირის ღრუს ჯანმრთელობას.

**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

ანეკდოტები

ძველი ბერძენი ჩინოვნიკის რეზოლუცია:

— არ დაკმაყოფილდეს არქიმედეს თხოვნა მისთვის საყრდენი წერტილის გამოყოფის თაობაზე — რამე არ გადაატრიალოს.

* * *

ვეძებ სამუშაოს ოფისში. შემოწმებისას შემიძლია ნებისმიერი დოკუმენტაციის გადასანსვლა.

* * *



სჯობს გქონდეს ლურჯი დიპლომი და პასპორტში ჩარტყმული შტამპი, ვიდრე — წითელი დიპლომი და ქალიშვილობის გვარი.

* * *

— მიხო, სულ საყვარლებში რომ დადიხარ, ცოლს ვერ მოიყვან?

— რად უნდა მოვიყვანო, რაკი ლუდი მიყვარს, ლუდის ქარხანა უნდა ვიყიდო?

* * *

დემოგრაფიული პრობლემები ყველაზე მეტად კანიბალებს აწუხებთ.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.